


# თავისუფლება



საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო  
სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

## LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 9

პარიზი

სექტემბერი 1975

### აგვისტოს აჯანყების 51 წლისთავი

51 წელი გრძელიც არის და მოკლაც. გრძელია იგი ადამიანის სიცოცხლისათვის. იმ ალტკინებულ ახალგაზრდობისაგან, რომლებმაც აჯანყების დროსა მაშინ ააფრიალა, დღეს ბევრი აღარ დარჩენილა, არც სამშობლოში, არც მის გარეთ. 51 წელი მოკლეა ერის წელდაუთვლელ არსებობაში, და აღრე თუ გვიან, ქართველი ხალხი კვლავ გაიმარჯვებს. მანამდე კი, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ვალია, იმ აგვისტო-სექტემბრის დღეებში, სამშობლოს დიდებისათვის დაცემულ მამულიშვილთა საფლავებაზე საწითლები არ გავაქროთ, ლიტანიობა არ შევწყვიტოთ, სულიერი ზიარება არ შევასუსტოთ იმ უკვდავ არდილებსა და ჩვენ, ცოცხლებ შორის.

დიდი, ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ იმ აჯანყებაში. ვინც 1924 წლის აგვისტო - სექტემბრის რეპრესიებს გადაურჩა, შემდეგ, 1934—35—36 და 1937 წლებში გაანადგურა გაცოფებულმა საბჭოთა ტირანიამ.

მაგრამ სიკვდილიც მათზე ითქმის, და ცოდონიც ისინი არიან, ვისზედაც ცოცხლები აღარ ფიქრობენ, გარნა 1924 წლის აგვისტოს მებრძოლები დაუვიწყარი არიან, როგორ იქნება კაცს ძარღვებში ქართული სისხლი სდიოდას და აგვისტო-სექტემბრის დღეებში ღვინოში პურის ნატეხი არ ჩააწოს და მათ ნათელ სულს, ხმამაღლა თუ არა გულში მაინც, საუკუნო ხსენება არ მიუძღვნას.

საუკუნოც იქნება ხსენება მათი!

### შინაბარსი:

- |                          |                 |                                       |
|--------------------------|-----------------|---------------------------------------|
| 2. პერსპექტივები         | 3. სარჯველაძე.  | 12. ილია კუჭუხიძე                     |
| 4. ლეონიდის შევარდინი    | 4. ზურაბიშვილი. | 13. მოგონებები                        |
| 4. საბჭ. რეჟიმის ხასიათი | 8. მელუა.       | გიორგი კონას ძე წერეთელი.             |
| 6. საქართველოს ამბები    |                 | 14. კონგრესმან ევაგონერი საქართველოზე |
| 9. საერთაშორისო ქრონიკა  |                 | 15. ს კ ო რ ტ ი                       |
| 11. ნეკროლოგები          |                 | 16. ჩ ე ე ნ ი ფონდი                   |
| 12. ჩ ე ე ნ ი ქრონიკა    |                 | 16. სამგლოვიარო განცხადებები          |



## პარსკაქიძეები

„სანამ გვიანი არ არის უნდა მოახდინოთ ეკონომიური სისტემის შეცვლა და ვატაროთ ღრმა პოლიტიკური ხასიათის რეფორმები, — დრო კიდევ დაგვრჩა, შემდეგ გვიან იქნება.“

### ანდრეი სახაროვი.

ასე მიმართავს კრემლის მართველებს მებრძოლი ფიზიკოსი, ანდ. სახაროვი, რაც შეუძლებელია შესმენილ იქნას დიქტატურისაგან, ღრმა ეკონომიურ - პოლიტიკური რეფორმების ვატარება, არსებულ რეჟიმს მიიყვანს დანგრევამდე. რაც არასოდეს, არცერთს დიქტატურას არ ჩაუტყდა, ჩვენს უკანასკნელ წერილში აღვნიშნავდით დიქტატურის შექმნაზე ვაძიერებას, მაგრამ დავესყენით, რომ რეჟიმი ატარებს დამარღვეველ ფაქტორებს, რომლებიც საბჭოთა სინამდვილიდან გლინდებიან, ვითარდებიან და იზრდებიან, — ამხადებენ განმათავისუფლებელ მოძრაობის ნიადაგს, როგორც რუსის ხალხისთვის, ისე რუსეთის ფარგლებში მომწყვეთელ ერებისათვის. . .

დავწყვიტოთ იქიდან, რომ იყო გავრცელებული აზრი, რუსის ხალხი, ბუნებით და ისტორიული ცხოვრების ზეგავლენით, იყო და არის პასიური, ქედმოხრილი და მორჩილი. მაგრამ, თუ ეს მოვლენა წარსულში სინამდვილეს გამოხატავდა, დღეს, ასეთად მისი მიჩნევა უსაფუძვლოდ ჩაითვლება.

რასაკერვლია, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები შეუძლებელია ვითარდებოდეს სისწრაფით, ისეთ პოლიტიკურ არტახებით შეკრულ წყობილებაში, როგორც საბჭოთა მართველობის სისტემა.

სოციალური ძევრები მიმდინარეობს შემუშვენლად და ხანგრძლივობით. ოქტომბერმა ერთი დადებითი საქმე გააკეთა: მან თვით გამოსჭედა თავისი დასავლავი დანა; მან მისცა, შეიძლება ცალმხრივი, მაგრამ მაინც სწავლავანათობა მასებს; საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიყვანა ახალ-ახალი თაობები.

ი. ე. „ვალხობის“ დღეებში, როცა ოდნავ შესაძლებელი გახდა თავისუფლად ამოსუნთქვა, — სტუდენტობის მიერ მოწყობილი იქნა მიტინგები უნივერსიტეტის კედლებში, რამაც გამოაშკარავა ახლა უგზარდობის, მოწინავე ნაწილისაგან, ნდობის დაკარგვა არსებულ წყობილების მიმართ.

ათეული წლების გასწვრივ, ახალგაზრდობა კითხვლობს პრესის ყოველდღიურ ტრაბახს, ხალხის კეთილდღეობაზე, მის გაბედნიერებაზე, და ის აშკარად ხედავს, რომ სტყულის მთავრობა, სტყულის მისი პრესა, სტყულის ხელისუფლების მორჩილი, ბოლოდა მოხელეები. ამავე დროს გამოჩნდა მატერიალური ბელტარტის, თავისუფალი შემოქმედების ნაკაფი, მახილებელი გამეფებული

ბიუროკრატის თავშეგებული მოქმედების. ეს არ ახსოვს დედინდების რომანი: „არა მარტო პუტინის მტერი უნდა იქნას ადამიანი“. რასკერიველია ეს, მცირე ხნით რეჟიმის შემსუბუქება ვაჭკრა, რაც იმას ამტკიცებს, რომ დიქტატურა ასე ადვილად არ დასთმობს თავის პოზიციებს.

საბჭოთა მთავრობამ ვერ შესძლო, თავის არსებობის დიდ მანძილზე, შეექმნა ერთი პერიოდულ სტაბილური ეკონომიური მდგომარეობისა; უზრუნველყო ხალხის მოთხოვნილება, პირველმოთხოვნილებების საგნებით. ავხსნათ!


საბჭოთა ეკონომიკის საფუძველი იყო და არის დაგეგმილი წარმოება, საიდანაც გამოირიცხულია ვერძო ინიციატივა. მისი სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან მყარდება შრომის სრული ექსპლუატაცია და ადამიანის პიროვნების დამონება.

რასაკერვლია, მოხდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. გაბრაულდა ფაბრიკა-ქარხნები, გაჩნდა მრავალი საჭირო ტექნიკური იარაღები, მაგრამ, ამ ინდუსტრიალიზაციას ხალხის კეთილდღეობა არ მოჰყოლია. რატომ? ერთ-ერთი თავის მოხსენებაში, ლენინი აღიარებს: „რუსეთისათვის ხსნას წარმოადგენს, არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, არამედ მძიმე ინდუსტრია. თუ ამისათვის სუბსიდებია არ მოჰყოლია, ჩვენ როგორც სხეულმწიფო დავიღუბებით“. სტალინმა კიდევ უფრო გააღრმავა ეს აზრი: „მძიმე ინდუსტრიის განვითარება უნდა მოხდეს სასოფლო მეურნეობის, საკვებ და მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე“. მან ფიზიკურად ვანაღლებრა ბუხარინ - კამენევ - ზინვიცის ოპოზიცია, რომელიც ურჩევდნენ, მსხვილი მრეწველობის ადგილს, განვითარებულიყო საკვები და სასოფლო მეურნეობა, ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. . .

სტალინისაგან დაწყებული, პრაქტიკულად ვატარება ამნაირად დაგეგმილ მეურნეობის დღესაც გრძელდება. მძიმე, ივულისხმება სამხედრო, მრეწველობა ძლიერდება, სწორედ, მსუბუქი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ხარჯზე.

სამხედრო მრეწველობა. რომელიც იკვებება სახელმწიფო ბიუჯეტით და არავითარი შემოსავალი არ შემაქვს სახელმწიფო სალოროში, სახლს აწვება მძიმე ტვირთად.

დიქტატურის ბუნების იმპერიალისტური მისწრაფება განუსაზღვრელია, მას უკან დახევა აღარ ძალუძს და ცხადია, იგი ვერ შეეცავენს სამხედრო უწყების შეარაღებას. მისი საგარეო პოლიტიკა ატარებს იმპერიის განადიდების სურვილს. რაც „პატრიოტიზმად“ დასაღებული სხვა ერებზე პოლიტიკური ვაცლენის მოპოება გამართლებულია ამავე ერების თითქმის მოთხოვნით, იქ „სოციალიზმის“ დასაყარებლად. . . ყველა ვი გარემოებანი წინ ელბობას საბჭოთა ეკონომიური განვითარების ზგას, რაც თავის დროზე სწორად შეაფასეს მათმა ეკონომისტებმა



და მოითხოვეს ზოგიერთ რეფორმების გატარება. მაგალითად: საქარხნო ადმინისტრაციისათვის ავტონომიური უფლების მინიჭება, მომავებლიანობა, საწარმო ფონდის ადგილობრივად შექმნა კაპიტალის დასაზღვრებლად, საქონლის დამზადება ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით. არსებითად, ეს იყო დასავლეთის საწარმო საწყისების გადმოღება, რასაც რუსეთის კომპარტია მუდამ უარყოფდა და ებრძოდა, და ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებამ, ეკონომისტების მიერ წამოყენებულ რეფორმების ასე ადვილად ვერ მიიღებდა. კამათი და ყოყმანი წლობით გაგრძელდა. მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ზოგიერთ რეფორმის გატარებაზე. მაგრამ ზვიდან კონტროლი და კარნახი არ მოუხსნია. — სახელმწიფოს მონობოლია მრეწველობაზე დარჩა იგავე რაც იყო; სასოფლო მეურნეობის წარმოების სისტემის გაკოტრება მტკიცებას არ მოითხოვს. კოლექტივიზაცია გლახობაში თავიდანვე უარყო, მის ძალადობით გატარებას შეეწერა რამოდენიმე მილიონი გლახობა და მიუხედავად ამისა მასში, კერძო საკუთრებისადმი მიდრეკილება, არ მოსილა. აქამდეც ცხადი იყო, მაინც მეტის შთქმელობა გამომჩნევი მებრძოლი მწერლის, სოლფენციის დამოწმება: „საუკუნეებით რუსეთს უტყოფთში ვაჭქონდა ხობრლელულობა; პირველი ომის წინ, წლართად მისი გატანა უტყოფთში უდრდა 10—12 მილიონ ტონას. ეხლა, 55 წლის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა შემოიტანა 20 მილიონი ტონა პურეულობა. ისრქცივლია! დროა მივხედოთ რომ გაკოტრდა კოლხიზური სისტემა.“ და მწერალი უჩრეცს უარი თქვას ხელისუფლებამ კოლხიზურ სისტემაზე და გადაეიდნენ თავისუფალ ინციატივის საფუძველზე; მისცენ თავისუფალ შრომის უფლება გლეხობას.

გაკვანდირდებით და ვიტყვით, რომ მწერლის ჭკვიანურ სურვილებს დაქტატურა ვერ ვაგვეება, ის ფრთხილობს; მხოლოდ არსებულ წესებით, მას შეუძლია გლეხობაზე კონტროლი ვააგრძლოს, და მისი შრომით გამოპკეების უზარმაზარი ბიუროკრატიაში და ჯარი...

დღეს, საბჭოთა ტენიკოს-ინტელექტუალურ წრეებში, მომწიფებულა აზრი, რომ სახალხო მეურნეობისაგან დადებით შედეგების მიღება შესაძლებელია, მხოლოდ მთელი ეკონომიური სისტემის შეცვლით...

მიუხედავად სახალხო მეურნეობის მსამე მდგომარეობისა, აღმოსავლეთიდან მოწოლილი საფრთხე იძენდა რეალურად გამოიყურება, რომ კრემლის მართველის განაგრძობენ ქვეყნის მილიტარიზაციას. პრავალი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ჩინეთი ვაფთრებით ემზადება ომისათვის; იხიბრება სანგრები, თავშესაფარები. მთავრობის მოწოდებამი ნათქვამია: (ესარგებლობ რუსული იარაღმანით), „ემზადეთ ომისათვის, შიმშილისათვის! რევიზიონერისტების პანსლავიზმი, ეს იგივე პიტლერის რასისტულ-

რეაქციონური პოლიტიკაა. მით კარვად შეითვისეს რეზანოვების დინსტიის ექსპანსიური ტრადიციები; მათ ვადასწრეს კიდევ მათ ავრისული ამბიციებით“

საინტერესოა დენკლი და დასჯილ ინტერაკოს ამარლიკის აზრი: „თუ წინად, რუსეთი იხრებოდა გარედან შემოსეულ მტრიდან, რატომ არ შეიძლება ეს მოხდეს დღეს? ჩინეთის თავდასხმით იგი დაინგრევა და მის ნანგრევებზე აღმოცენდება თავისუფალი ერების კავშირი“...

სოლფენციანი თავის წერილში კრემლის მართველებისადმი ცალკე იხილავს ჩინეთთან შესაძლებელ ომს. ურნალის სიეწროვე ნებას არ გვაძლევს, მთლიანად მოვიყვანოთ მისი აზრი. მწერალი დარწმუნებულია, რომ ჩინეთთან ომს საბჭოთა რუსეთი ვერ გაუძლებს, ჩინეთი იბრძობებს უკანასკნელ ჯარისკაცამდე; იბრძობებს ფანატურად, თავგამოდებით და არც ერთი მკირე ნაწილი ჯარისა მტერს არ ჩაბარება. ასეული მილონები გაყვდებიან, ბრძოლა ვაგრძელდება, არა ნაკლებ 10—15 წელს. რასაკვირველია ციმბირის დათმობა შეუძლებელია; მიხეზი ომისა მარტო ციმბირი არ არის, არამედ უფრო საშინელი, — ომი იდეოლოგიური. მწერალი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ კრემლმა სადავო, საქრშოა იდეოლოგია, — დაუთმოს ჩინელს, ამით მოიხსნება ომის საშინელებაო. ცნობილ მებრძოლ მწერლის დასაბუთებაში უსათუოდ გულუბრყვილობა გამოიხატება.


იდეოლოგია მხოლოდ საფარია, — ბუნებრივი სიმდიდრით სავსე ციმბირის, ერთის მხრივ დასაპატრონებლად, მეორეს მხრივ შესანარჩუნებლად.

აქ უმთავრესი ის არის, რომ მწერალი დარწმუნებულია ომის შესაძლებლობაში და რომ დავასკვნათ, ჩინეთი უდიდესი ფაქტორია, რომლის პოზიციის შედეგად, სრული მოსალოდნელია, მომავალში, დიდი მოვლენები. ჯერ-ჯერობით, ჩინეთთან ომის საშიშროება შეუძლებლად ხდის სახალხო მეურნეობის სისტემის შეცვლას, რომ ამის სურვილიც ჰქონდეს საბჭოთა ხელისუფლებას. ამ მდგომარეობის აქ მოხსენება სრულებით არ ნიშნავს ომი დადებით მოვლენად იქნას აღიარებული, პირიქით ატომიურ ხანაში, ომი უდიდესი საშინელობა ყველასათვის, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხავს და რა ძალა შეგვეყვებს მას წინ აღუდგეთო...

თუ აქნობამდე ე. წ. სატელიტების განწყობილება იყო ოპოზიციონური მოსკოვის მიმართ, ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმით და მისი უსუერენობის მოსპობით, იგი ვახდა მტრული. ისინი აღარ წარმოადგენენ დღეს საიმედო ძალას მოსკოვისათვის, უცდიან პირველ შემთხვევას, რათა თავი დაიხსნან მისი „მფარველობისაგან“.

ამ ქამად ჩვენ მოწამენი ვართ პროტექტორულ მოძრაობის, წარმოებული ბრძოლა ტარქეტარ რეალურ საფუძველზეა დამყარებული; სახელდობრ საბჭოთა კონსტი-

2825





ტუციის განხორციელების მოთხოვნა. ლეგალურ, კანონიერ ფარგლებში მოქმედება მძიმე მდგომარეობაში აყენებს ხელისუფლებას, მის მიერვე შემუშავებულ კონსტიტუციის უფლებდამცემი გამო. მაშრობას ხელმძღვანელობს ინტელიგენციის რჩეული ნაწილი. ხელისუფლები-საგან ის იყო ჩაყენებული პრეველენტიურ პირობებში. მათ გამოსვლეს ახასიათებს იდეა თავისუფლებისა, სურვილი ხალხის უფლებდამცემი სახელმწიფოს შექმნისა... ამ მიზანდასახულობისათვის მათ აირჩიეს გზა ეკლარიც, წინასწარ ურავდებიან რეპრესიულ ზომებზე, გმირულად ვადა-აქეთ ყველაზე მეტად ბარბაროსული ფორმა სულიერი ტანჯვისა, ფსიხიატრული საავადმყოფო.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სიღუმლო ფურცლების გამოკვლევა, „ფოთვაშობები“, რომლებიც განუწყვეტლივ ამხელენ, დიქტატურისაგან შექმნილ სულის შემხუთავ რეჟიმს. ამხელენ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მავალითებით.

სახაროვის მიერ დაარსებული „ადამიანთა უფლებების დამცველთა ლიგა“.

ჩენის მხრივ, ეკონომიურ-პოლიტიკურ, ნაციონალურ და საგარეო ფაქტორთა ეს განხილვა — იძლევა საიმედო პერსპექტივებს, და ამზადებს ნიადგს ტოტალიტარული რეჟიმის დასანგრევად, რაც საბოლოო ანგარიშში, ქმნის ერების განთავისუფლების პირობებს.

**3. სარჯველაძე**

**“ლეონიდის შავარდანი”**

**და შეხვედრა ბიჭინათაში.**

არ შემცდარხართ! საუბარი ვაკქეს რუსეთის იმპერატორზე და მის „ნამესტნიკზე“ საქართველოში. ეს უკანასკნელი ხომ ფებს წყლებზე იდგამს, რომ მოსკოვს დაუმტკიცოს თავისი სრული ერთფულობა, მაშრობლობა უანგარობა და ეფექტურობა. დღეს ხომ საქართველოს ციხეები ხალხს არ იტყვენ; რუსეთის ნაკარნახევი პოლიტიკა ყველა სფეროშია გატარებული „წარმატებით“; და მეურნეობაზე ლაბარაკს თუ მუდამ სავალდებულოდ უყავშირებენ „კორუპციას“, სამადიეროდ ყველა სდუმს იმაზე რომ ეს მოსკოვის კოლონია ნივითერად და სასიცოცხლო თავის ძალებით რუსეთს ეწირება.

როგორც პრესივად გავიცით, ედ. შვეარდნაძემ სიხარული გამოთქვა თბილისის პარტორგანიზაციის მერ-35 კონფერენციაზე, რომ მოსკოვის მთავრობამ. ლეონიდ ბრენევის რჩევით, მიიღო „ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული გადაწყვეტილება“: „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მურნეობის შემდგომი განვითარების დინამიკობა შესახებ“...

აბა რა ახარებს შვეარდნაძეს? ის, თუ მოსკოვი საქართველოს უწერს მურნეობის ახალ (უფრო მძიმე) გეგ-

მებს და ნორმებს?.. ან ის რომ, მოსკოვის შეფხვებით, თბილისელ მათ დამქაშებს შოლტის დარტყმის რეზიზანთა?

უნებელით თავს შეეკითხებით: საღადა აქ „საბჭოეთის მოძმე ერების თანასწორ-უფლებიანობა, და სუვეერენობა“, კარბელაშვილის „სამშობლო“ რომ მუდამ გვეყვება?

ვინ გამოაჩინა ეს „სუვეერენობა“ ბიჭინათას (ბიკუნდათ ხსენებულ) შეხვედრის მსვლელობაში? აბა სადმე წაეკითხული თუ ვაკქეთ, რომ ბრენევის ეთხოვოს ჩვენ „სუვეერულ“ რესპუბლიკისათვის ნებათაძონ, ან თანხმობა, მის ტერიტორიაზე მომხდარიყოს ხსენებული შეხვედრა?

მაგრამ არც ამითი იწურება ეს საკითხი. თურმე სტუმარმოყვანად ცნობილი ჩვენი ქვეყანა არც გამაჰანძლებლის დარგშია გამოსადგენი, და სანდო!

გახუთ „ფიგარო“-ს (14 მარტის, 1974 წ.) სპეციალური კორესპონდენტი ვაგატყობინებდა, რომ „ათი თვითმფრინავით ჩამობრუნეს მოსკოვიდან მასალა—სურსათი, და ჩამოიყვანეს მოსამხურენი ყოველი ჯუჯოის; ტელიკომუნიკაციების, მიმღები ქალიშვილები (პოტეს-სტიურადგენები), თარჯიმნები, ოფიცინტები, მზარეულები, და ნაცრისებქუდიანი ბატონებიც...“ ამ კორესპონდენტს არც კი ვაჭკვირვებათა თუ რატომ ყველა ეს თბილისიდან მოწოდებული არ იქმნა!

მწარე სახუმროდ დაუშმატებთ. რომ თუ ამ შეხვედრაზე ტელეხედეტი ვნახეთ ვინმე ქართული, ეს იყო პომპიდუს მიერ ჩამოყვანილი პირადი მისი თარჯიმანი ან-დრონიკოვი, და თუ საქართველო ხსენებული იქმნა ვინმე პიროვნებისაგან, ესეც იყო პომპიდუს მიერ, როდესაც მან მიმართა ფრანკ უურნალსტეს გამოთხოვები-სას: „ეერ დაიწუნებთ მოწვევის ადვილს, როგორც ვარემოცულობის სილაშაზის გამო, ისე საქართველოს მიმზიდველობის ვულსისათვის“. დაახ, სხვა თუ არაფერი, — ჰაერი და „ცა ფირუტ ხმელეთ - ზურმუხტი“ ნამდვილი ქართული იყენენ!

ასეთია მწარე სინამდვილე ჩვენი დღევანდელი „სუვეერენობისა“ და რესპუბლიკისა, რომლის ვითომც „თავაკაცს“ უწინშეწელი ლაქისათვი კარის ვარეთ სტოვებენ, მისივე „ბიკუნდაში“.

„პარისსაც“ და ლაქისათვი თავი უტეხით! ჩვენ საქართველის ტანჯულ -ცარცულ -კოლონიალურ მდგომარეობას ვჩივით. და მისი ტყვე ხალხის მდგომარეობას ვსტირით.

† ლ. ზურაბიშვილი.

**საბჭოთა ჩუქიმის ხსენიტი**

(აღიარებული ფაქტებიდან).

საბჭოეთში ბუნებრივ სიმშვენიერეს და სიმდიდრეს ვანდალები შესვლიან და ანადგურებენ. სიცოცხლის ამ მთა ვარ წყაროს დასაცავად გ. ნატროშვილმა „ლიტერატურ-



რულ საქართველოში“ ყველა დროის და ყველა ქვეყნის გულშემბატყვიარი ალაპარაკა. ეს, ისედაც შთამბეჭდავი სურათი, მან თანამედროვე საბჭოელი პოეტის, ევგ. ევტუშენკის პოეტიკა გააძლიერა, პოეტიკა, რომელიც ამოღებული იმის ხმაილით გრძელდა და მახვილი და, რომელიც „სათევზაო არტელის თავმჯდომარეს“ შიგ სახეში ურტყამს. რა დაიშავა მან? მას არალეგალურად, წვრილთვალბიანი ბაღით თუევაზია და პაწაწაწიეტელა თევზები ამოუწყვეტია. ვის არ შეებრალბება ეს უსუსური თევზები და ვის არ ალაშფოთებს ბუნებრივი სიმდიდრის ასეთიარირი ვაპარტახება?

ოლონდ ქი შედეგი, რამდენადაც საშინელი არ უნდა იყოს იგი,მინც გამომწყვევი მიზეზის ღვიძლი შევილია და ამ მიზეზის ბებნახე ეკტუშენკო და ნატროშვილი სდუმან, აქედან იწყება მკითხველსა და მათ შორის უთანხმოება.

რამ აძულა არტელის თავმჯდომარე ქურდი და ბრაკონიერი გამხარაიყო? იგი ხომ საბჭოთა მეურნეობაში რაიკომის მდინეის ბრძანებით დანიშნული მაღალი პოსტის კაცია? მისი ხელფასი უბრალო მუშის ხელფასზე მრავალჯერ მეტია. მამასადამე, სურსათ-სანოვაგის შესაძენად უფულობა ხელს არ უშლის. ის ფაქტიც, რომ გასაყიდად უვარვის, პაწაწა თევზებს იჭერს, იმას ნიშნავს, რომ ეს მანე საქმე მას გამდიდრებისათვის არ წამოუწყია. აშკარაა, ეს ფულით ჯიბესასე საბჭოელი მოხელე ბაზარზე სურსათ-სანოვაგეს ვერ შოულობს, მასაც სხვებსავე კუჭი ეწევის და წყალში ჩარჩენილ პაწაწაეტელა თევზებს იპარავს.

ეს ამბავი საერთოდ ცნობილია, მაგრამ ამოსაცნობია ის, რომ მდიდარი თევზეულობით ცნობილი საბჭოთა წყლები მსხლით თევზებიდან ისე ვინ და რამ დააცარიელა, რომ ბრაკონიერებიც კი იძულებულია წვრილთვალბიანი ბაღე აკეთონ და მით კბილებზე ძლივს დასაძებო თევზები იპარონ? ამის პირველი მიზეზი საბჭოთა მთაბრძობის მიერ ხალხთა კვების საკითხის უყურადღებოდ მიტოვებაა, თორემ, მარტო ევროპულ საბჭოეთის რუკას რომ შევხედოთ — მთელი ეს ტერიტორია თავისი ხეითი ზლითა და მათ შორის მდინარეებითა და არხებით გაკეთებული ფართი ქსელი, თევზეულობის მოშენებისათვის იდეალურ პირობებს წარმოადგენს. იქ რაციონალურად მოშენებული თევზეულობა, არამცაოე შინაურ ბაზარზე საკუებით უზრუნველყოფდა, საექსპორტო საცავიც გახდებოდა, სამწუხაროდ, საბჭოეთის სამეურნეო პოლიტიკა იმდენად ჩლუნგია, მდგომარეობასთან იმდენად შეუფერებელი და ჩამორჩენილი, რომ დღეს ამაზე ფიქრიც შეუძებია. ამ ნაკლს ისიც ემატება, რომ მშრომელს დიდ ზრდების სიხოვენ, მაგრამ მისთვის არც ბონაა წესიერად აშენებული და არც სურსათის საქმეა მოგვარებული. მუშაობის გათავებისას იგი იძულებულია ხან შვე ბაზარზე ირბინოს და ხან ბუნების წიაღში შეიჭრას, რომ იქ ვა-

მოსაკვები ეძიოს. ერთი სიტყვით, ყოველდღიური ცხოვრებისათვის, როგორც მოიხილეთებს და როგორც ბედი და შემთხვევა წარუძლებება, ისე უნდა იბრძოდეს საქართველოს ხალხი — იქ თავისუფალი ორგანიზაცია აკრძალულია და დევნილი, — თითოულმა მთავანმა ცალ-ცალკე, ჩემად და მოპარვით უნდა ეძიოს სარჩი, ისუნთქოს ჰაერი.

მართლაც, თუ ეკტუშენკის და ნატროშვილის მიზანია ფაუნისა და ვეგეტორის დაცვა, მაშინ მათი მხატვრული ხმა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ უნდა აღიმადღონ, რომლის უწყსარგობა და უსამართლობა „ქურდობასა“ და „ბრაკონიერობას“ ბადებს და ანეითარებს.

ამ ორი საბჭოელი მოქალაქის ქადაგებას ერთი ისტორიული მოვლენა მინდა დავუკავშირო. საქართველოში, დაპყრობის წლისათვე, 1922 წლის თებერვალში, ქართველმა სტუდენტებმა და მოწაფეებმა საპროტესტო, მშვიდობიანი დემონსტრაციები მოაწყვეს. როგორც ყველგან, ოხურგეთშიც მოწაფეები გამოვედით. თოვლით დაფარულ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე მრავალრიცხოვანი მოწაფეობა გაიშალა. დემონსტრაციამ ქალაქის მთავარ მოედანზე, ეკლესიის გვერდით არსებულ სასაქონლის მიმართულება აიღო, სადაც სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები განისვენებდნ.

მშვიდობიან დემონსტრაციას შეიარაღებული კომუნისტები აედევნენ და წრიდან ჩამორჩენილ პატარებს ცემა დაუწყეს. მოსაგონებლად ღირს ერთი პასუხისმგებელი კომუნისტის კოლის ამბავი, რომელმაც პაწაწა ბავშვს მოქედლილი ქოშით თავი გაუტეხა და მისი უმანკო სისხლით თოვლი შეღება. მოწაფეებს ჯერ მილიცია, შემდეგ ჩეკის რაზმი და ბოლოს რუსის ჯარი უყესია, მოწაფე ქალები რუსებს ხელიდან გლეჯდნ დასისლიანებულ ბავშვებს. მოზრდილმა ბიჭებმა წინ წაიწყეს და რუსებსა და ჩეკისტებს გზა ვადულობეს. ბრძოლა გაჩაღდა. . . თეატრის გვერდით, მოედანზე ამომავალი ფართო ქუჩა მოწაფეების სისხლით მიორწყა. სანაოლოდ, მანც იარაღმა გაიმარჯვა. ჩეკისტებმა „წვრილთვალბიანი სათევზაო ბადეებით ითევზავს“ და უსუსური ბავშვები მოხვეტეს. სკოლების დაბნახები და ბიუროები დატყვევებულ მოწაფეებით კარგავენ. ფეხითა და ტანსაცმელთ შეტანილმა თოვლმა ძირს ტბა დააყენა. ჩანებლებულ ღამეში, პერანგის გასახვედ და ქრილობის შესახვედ, აქაიქ, ასანთის წამიერი შუქი თუ გაიღვებდა. . . მეორე დილას, მოზარდი მოწაფეების მძიმე ქრილობებზე რომ არავფირი ვთქვათ, შემზარავი სანახავი იყო პატარა გოგონებისა და ბიჭუნების წამოსიებული ლოკები, რომელთა ზემოდ კონდახის ნაკვალევი აჩნდათ, ქვემოთ კი ჩაკეტილი სისხლის ზოლები იკვალენებდნ. . . ამ დღეს, საქართველოს ყველა ქალაქში და სოფელში მავარ სურათს ნახავდით.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპყრობილ ერებსა და სატელიტებში უთვალავი იყო და არის მავარი ეპიზო-

დი, იბრძვის ხალხი და განსაუთრებთ მოზარდი თაობა, რომ შეაგრძელოს საბჭოთა ბატონობა და ადამიანის განთავისუფლებას გზა გაუხსნას. ცეცხლითა და მხვილით უსწორდება მას საბჭოთა რეჟიმი და სისხლის ღვარს აყენებს. ვითომ, ამ ადამიანთა სისხლი ევეტუშენკო—ნატროშვილის თევზების სისხლზე ნაკლებხარისხოვანია!

ნატროშვილი და ევეტუშენკო ამ თემაზე წერილებს როდის დაგვიწერენ?

მირან მელუა.

თებერვალი 1975.

## საპარტოვლოს ამბები

ზ ვ ი ა ლ ბამსახურდიას სიცოცხლე საფრთხეში!

წელს, 25 სექტემბერს, ზვიად გამსახურდიამ განცხადებით მიმართა პრესას. ამ განცხადებიდან ირკვევა, რომ გამოჩენილი მწერლის შვილი და თვით ცნობილი მწერალი, პეტეტი და მთარგმნელი, უადრესად შევიწროებული პოლიტიკურ პოლიციის და საგამომძიებლო ორგანოების საგან. არა ერთი ვაჩხრეკის, დაკითხვის და მუქარის შემდეგ. პოლიციის გადაუწყვეტია მისი ფიზიკური მოსაზობა და ზვიად გამსახურდიას ფიქრობს, რომ პოლიციამ ის და მისი ოჯახი მოწაღვრა სპეციალური გზით 20 სექტემბერს. ჩემი სახლი, ამბობს ზვიად გამსახურდია, დღას მოშორებით სხვა სახლებიდან; იმ დღეს ავად გაყვდიოთ ყველა სახლში მყოფი. არ, ჩემი მეუღლე მ. არჩაძე, და ჩემი ცოლის და ლ. არჩაძე; კატა და სხვა შინაური ცხოველები დაიხიზნენ. ჩვენ გვექონდა საშინელი თავის ტკივილი. გულის რევა, წნევა ძალიან აგვეწია და ჰაერი არ გვეყოფნიდა. სხვათაშორის, მამაჩემიც ასეთი სიმპტომებით გარდაიცვალა. და დასძენს: „მე აღრე სრულიად ჯანსაღი ვიყავი და არავითარ გულის ან სისხლის მიღების დაზიანებას არ შეუწუხებოვარ. ერთი კვირის შემდეგ, ანალიზმა დადასტურა, რომ მე ვიპოვებოდი ძლიერი მოწამელის მდგომარეობაში. უკვე, 10 ავლისიდან, მე მომხსნეს უნივერსიტეტიდან, სადაც ვმუშაობდი დოცენტად ინგლისურ ენაში და ამერიკულ ლიტერატურაში“.

„ჩემი დანაშაულია ის რომ ვიცავ ადამიანის უფლებებს და ცვემ თვითგამოცემის ლიტერატორულ ჟურნალ „ოქროს საწმისს“.

აკადემიკოს ი. რ. შვაბარეიხის,

გვიანდაც გაცნობით, ვალენტინა სერაფიონის ასულ ფაილოდის საქმის ზოგიერთი დეტალი.

ფი გასამართლებულია: „ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, რომლებიც ჩირქს ცხებენ საბჭოთა წყობილებას და რელიგიური პროპაგანდისათვის, რაც წარმოადგენს

ადამიანის პიროვნებისა და უფლებების შელახვას“ ვ. ფაილოძეს აწერენ 136 ანონიმურ წერილს, რომლებიც ამ უქანასტეფი 4 წლის განმავლობაში დაგვიგზავნიდა და სხვა დაწესებულებებში, თბილისში. ამ წერილებში აღწერილია საქართველოს მდგომარეობა, რომელიც; ავტორის რწმენით, ისაგრება კომუნისტურ ლოზუნგებით შეხამებულ რუსულ დიდმპრობელურ შოეინიზმით.

საბჭოთა წყობიანება, კომუნისტური პარტია ავტორის მიაჩნია სატანური ძალების ბოროტებად და მოუწოდებს ხალხს არ გაბრძოვდნენ, არ დაემორჩილონ ცდუნებას, არ შევიდნენ პარტიაში, კომკავშირში და პიონერთა ორგანიზაციაში, ხოლო მათ ვინც უკვე შეიძარა ჩაიან, მოუწოდებს დასტოვონ მათი რიგები. ავტორი საქართველოს განიხილავს, როგორც კოლონიას რუსეთისას და მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ: დაკარგვა თავისუფლების და თვითნაგმობის, რუსიფიკაცია, ქართული კულტურის და ქართული ეკლესიის განადგურება. წერილი ღაფს ასხამს რენეცატებს, რომლებიც კარაერისა და განდიღების ძიებაში ზღებიან მსახურნი დიდმპრობელი იმპერიალიზმის.

ქართული საბჭოთა პრესაში მაღავენ, რომ ვ. ფაილოძე არის პოლიტიკური პატიმარი. მას ასაღებენ ჭორების გამეცრელებლად. ანონიმურ ცილისმწამებლად, რომელიც ამავე დროს ეწევა პოლიტიკურ პროვოკაციას.


კატა ხნის წინად, ლაგერში მივიდა გამოძიებელი ქალი, სახ. უშიშროების კომიტეტიდან, ვუღიგებებს სახელით, რომელმაც წინადადება მისცა ვ. ფაილოძეს რომ მას გაანთავისუფლებენ, თუ დათანხმდება იმუშაოს რუსეთში და იცხოვროს ჯანდარავში (სოფელი რუსეთთან, აზერბაიჯანის უღანბაში, სადაც ადგილი აქვს ხშირ მკვლელობებს). დღესათვის ნათელია „ორგანოების“ შავი ჩანაფიქრი: „შემთხვევითი მკვლელობა“ ვ. ფაილოძის, ყველაზე ადვილია სწორედ ჯანდარავში, მაგრამ ვ. ფაილოძემ უარი განაცხადა ასეთ „სიკეთეზე“.

ჩვენ, მოგმართავთ თქვენ, როგორც რელიგიური მრწამსის თავისუფლად ქადაგების უფლების დაულოლაგ მეგრძოლს, დაიცავთ ღრმად მორწმუნე ადამიანი და თავისი სამშობლოს კეთშმარტი პატრიოტი ვ. ფაილოძე, მოითხოვთ მისთვის პოლიტიკურ პატიმრის სტატუსს.

ადამიანის უფლებების დამცველთა საინციატივო ჯგუფთ: **ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ი. წიკავლია.**

ვალენტინა ფაილოძის განცხადება.

ვ. ფაილოძემ განცხადებით მიმართა საერთაშორისო ქალთა კონგრესს. ამ განცხადებაში მათქმობია: გთხოვთ მიმიწვით თქვენთან, რაუფან მინდა მოგიტხოვროთ იმ სასწაულებრივ უსამართლობაზე, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში. ეხლახან გამანთავისუფლეს ქალების ლაგერიდან სადაც გავატარე ერთნახევარი წელიწადი. სიმართლის დაწერის გულისათვის.



## მსოფლიო პკანის გამოსახულება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მდგომარეობაზე

გასული წლის ზაფხულში, თვითგამოცემის გზით, საქართველოდან მოსულ მორწმუნეთა ჯგუფის განცხადება: „ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე“, საფუძვლიანი შესწავლის და შემოწმების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის განსჯის საგნად ხდება.

ინგლისურმა „ექსტონ კოლეჯ“-მა დააგროვა ყველა მასალა, რომლებიც კი ამ საკითხზე საქართველოდან მოვიდა, არალეგალური გზით; ეს მასალები შეისწავლა და კრიტიკულად დაამუშავა, ეკონომიური და პოლიტიკური ინსტიტუტის უფროსმა ლექტორმა ბ-ნმა პიტერ რედვეემ, და საქმიად მოზრდილი სტატია დასწერა ინგლისურ კრებულში, „რელიგია კომუნისტურ ქვეყნებში“, სათაურით: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია: კორუპცია, განახლება“.

### ლონდონის გაზეთ „ტაიმს“-ში.

ამა წლის 4 აგვისტოს, ინგლისურმა დიდ ტირაჟიანმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ტაიმს“-მა, ამავე საკითხზე დაბეჭდა, მისი რელიგიური საკითხების კორესპონდენტის, ბ-ნ კლიფორდ ლონგელის წერილი: „საქართველის ეკლესია და კორუპცია“. ბ-ნ ლონგელს განმარტებთ, თანეს წერილისათვის მან ისარგებლა ბატონ რედვეეს სტატიით. ორივე წერილი სიხსუსებით გადმოსცემს თვითგამოცემის გზით, საქართველოდან მოსულ დოკუმენტის შინაარსს. (0). ტ. № 6-ში დაბეჭდილი იყო ამ დოკუმენტის შინაარსი და კომენტარებიც იხ. ასევე № 8-ში).

11 აგვისტოს, იმავე „ტაიმს“-მა გამოაქვეყნა პროფ. დავით ლანგის წერილი, რომელშიდაც ავტორი მწუხარებას გამოთქვამს ბ-ნ კლიფორდ ლონგელის სტატიის გამოქვეყნების გამო, რადგანაც, მისი აზრით, ის საბუთები, რომლებსაც ეს წერილი ეყრდნობა, შედგენილია კრემლის პოლიციის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის, და მისი ახლანდელი იერარქიის წინააღმდეგ, ამავე დროს, პროფ. დ. ლანგი ცილობა გააბათილოს ბ-ნ პიტერ რედვეეს სტატიის ზოგიერთი ფაქტი. მაგალითად, მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილის შესახებ, პროფ. ლანგის თქმით, მისი არჩევა კათალიკოსად არ შეიძლებოდა, რადგანაც ის ამ თანადებობისათვის საჭირო ხნის არ იყო. ასევე, პროფ ლანგის მიხედვით, თბილისის ოპერის თეატრის ხანძარი კრიმინალური არ ყოფილა და შინაგან ამ ხანძარით დიდი ზიანი არ მოსვლია, როგორც ეს ნათქვამია, ბ-ნ პიტერ რედვეეს სტატიაში.

16 აგვისტოს, კვლეა „ტაიმს“-ის ფურცლებზე ბატონმა პიტერ რედვეემ, მოიგერია პროფ დ. ლანგის თავდასხმა და ამ უქანასკნელის პოზიცია ახსნა, საქართველოდან მოსული დოკუმენტების უტოღინარობით.

21 აგვისტოს, პროფესორმა დ. ლანგმა, კვლეა დაწერა წერილი ბ-ნ პიტერ რედვეეს წინააღმდეგ, სადა მკაცრად მან მიიშველია ლონდონის და პარიზის ეკლესიების მოწმობა; ეთიომ ამ უქანასკნელებმა მას უთხრეს, რომ საქართველოს ეკლესიის შესახებ, საქართველოდან მოსული მასალები სომართლეს ეს შეეყვებინა, რომ თვით გამოძიებულ დავით ქორიძის არსებობაც საეჭვოა და მისი გამოძიებაც აპოკრიფული.

დამოლოს, 8 სექტემბერს, „ტაიმს“-მა გამოაქვეყნა ბ-ნ პიტერ რედვეეს მკაცრი პასუხი პროფ. დ. მ. ლანგისადმი. მოგვყავს ამ წერილის სრული თარგმანი:

„ბატონებო, თქვენს მკითხველებს ალბათ ანკვიფრებს ის, თუ როგორ შეუძლია პროფესორ ლანგს გააგვიგოს ყველა და ტრაბახი, როგორ შეუძლია მას, ეფრინალოში „რელიგია კომუნისტურ ქვეყნებში“ გამოქვეყნებულ ჩემი სტატიის ვაკრიტიკება ისე, რომ იგი არც კი შეკითხება, თუ რატომ ვდებ მას ბრალს ფაქტების დამახინჯებაში; როგორ შეუძლია მას კრიმინალობისა და კორუპციის დაცვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელთა რიგებში, რითაც იგი სახელს უტეხს იმ ძალეს, რომლებიც იბრძვიან რევოლუციის გატარებისა და ეკლესიის აღორძინებისათვის.“

სინამდვილეში, ამის ახსნა ადვილია: პროფესორ დ. ლანგს ჯერ არ შეუსწავლია სხვადასხვა საბუთები, არც ქართველ მოქალაქეთა მიერ ორი წლის მანძილზე დაწერილი 20-მდე დოკუმენტი, არც დამატებითი საბუთები, რომლებიც მოწმობენ ამ საბუთების უტყუარობას. ნაცულად ამისა, იგი ეყრდნობა დაუსახელებელ ქართველებს პარიზსა და ლონდონში, რომლებიც ან დეზინფორმირებულნი არიან, ან არასანდო.

პროკურორის თანაშემწე ქორიძის ცნობა ნამდვილად არ არის საბუთო ბიუროკრატიული პროზით დაწერილი ყალბი დოკუმენტი, როგორ ამას ამტკიცებს პროფესორი ლანგი, არამედ პირიქით, განიჭებული, კარგად მოფიქრებული რეზიუმე რომა გამოძიებისა.

რაც შეეხება თვით ბ-ნ ქორიძეს, (რომლის არსებობაც კი ეჭვის ქვეშა დაყენებული), მას იცნობენ: სხვათა შორის, ბ-ნი ალექსანდრე ინაურო, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც დაპატიმრებით დაემუქრა მას; აგრეთვე მწერალთა კავშირის წევრი ზვიად გამსახურდია და ბ-ნი ნუგზარ შარია, გამოჩენილი ქართველი მსახიობი და მომღერალი, რომელმაც 1970 წელს, დატოვა საქართველო და დამატებითი საბუთებით დაადასტურა დოკუმენტების უტყუარობა“.

15 სექტემბერს, ა/წლისა, „ტაიმს“-მა გამოაქვეყნა ფულჰამის და გიბრალტარის ეპისკოპოს იოჰანეს წერილი, რომელშიაც ავტორი განკვივრებას გამოთქვამს, რომ გაზეთ „ტაიმსმა“ აჩქარებით გამოაქვეყნა ცილისმწამებლური ხსიათის მასალები და ვაკვირებულთა ბ-ნ პი-



ტერ რედევს ბრალდებები პროფ. დ. ლანგის მიმართ: „კრიმინალობის და კორუპციის დაცვა“-ში. — „გარკვეული ცნობების“ გავრცელება, არ გვერია საჭირო და გონიერული იყოს“ო, ასეცნის, ეს მალალი თანამდებობის საეკლესიო პირი.

„ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გოლოგოთა“.

ასეთი სათაურით დაბეჭდილია ცნობები ქართული ეკლესიის შესახებ, ყოველთვიურ კონფესიონალურ კრებულ „კატაქომბები“-ს 15 ოქტომბრის ნომერში, წერილის დათმობილი აქვს ერთგვერდნახევარი.

პირველ წერილში, ქალბატონი ნიკოლ ვალერი მკითხველებს მოუთხოვრებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მთავარ თარიღებს, წმიდა ნინოს მოღვაწეობიდან დღემდე. მეორე ნაწილი წარმოადგენს ისტორიკოს, თეიმურაზ აკაკის ძე ჯვარციხეის მოწმობის ტექსტს, თარგმნილს რუსულიდან, ქალბატონ ლუსილ ფონვიციის მიერ, კრებულ „კატაქომბები“-ს დირექტორ-რედაქტორია ქართველების კარგი მეგობარი, რუმინელი საეკლესიო მოღვაწე სერგიუ გროსიუ.

ჩემნი პოზიციი.

ამრიგად, თავისუფალი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის წინაშე დასმულია საკითხი ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე. საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს შევება, რომ ეს ამბავი არ განხილავს, აქ. (ყოველწმინტევაში ინგლისში), პრაფ. დავით ლანი იგივეს ცდილობს, საქართველოს და მისი ეკლესიის დაცვის კეთილშობილურ მოტივებით. მაგრამ ისიც განგებ თუ უნებლიეთ, წყალს ასახსნა სამჭოთა წისქვილზე.

საჭიროა ამ საკითხზე ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ თავისი აზრი საჯაროდ განაცხადოს და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას.

ჩვენი მხრით, ჩვენ სრულიად თანხმა ვართ ბატონ პეტერ რედევსი, რომ პროკურორის თანაშემწის, დავით ქორიძის რაპორტი, საქართ. კომპარტიის ცაკის მიმართ, არის სერიოზული. კეთილსინდისიერი და ღრმად მოფიქრებული გამოძიების დასკვნა. ჯერ ამ გამოძიების აღძვრა, და შემდეგ მისი განხილვა უეჭველად მოითხოვდა დიდ გამბედაობას და პირად თავაწირვას, რაც გაკეთებული იქნა იმ იმედით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ქართ. ქრისტიანული ეკლესიის განახლება. რომ ეს განახლება შესაძლებელი გახდეს, საჭიროა თავისუფალ მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა მხარი დაუჭიროს მათ და არ დაუშვას, რომ სამჭოთა ხელისუფლებამ გაანადგუროს მჭიკურად ეს განახლების და გაჯანსაღების ძალები.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ვილია, ყველაფერი ქნას ამ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციისთვის.

თუ დირბის. დენის, აკლევის და სხვა სოფლების საეკლესიო მალაზიებს კაპიტალური რემონტი სასწრაფოდ არ გაუკეთეს, მათი ექსპლუატაცია მოკლე ხანში შეუძლებელი იქნება. საზოგადოებრივ კვების ობიექტებში მინიმალური სახიტარული პრობოზიც კი არ არსებობს. ცხელ ვინ ჩივის, ცივი, გამდინარე წყალი უნაერთებათ. აკლიათ ან სულ არა აქვთ დანა-ჩანგალი, ჭურჭელი, დახლმაცივარი, კარადამაცივრები და სხვა ინვეტარი.

უკანასკნელ სამ წელშიაღწევაში, არც ერთი საზოგადოებრივი კვების და ვჭურბლის ობიექტი არ არსებებულა. რაიონის ათი სოფელი საერთო საყოფაცხოვრებო მომსახურებას სრულიად მოკლებულია.

სოფ. რუისში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომიტეტის მშენებლობა უკვე ოთხი წლია მიმდინარეობს ს. აბოსის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი შარშან აშენდა და წლეულს უკვე კაპიტალური რემონტი ესაჭიროება; სადაც არის კედლები ჩამოთრევა. რაიონში, გვემით გათავისუფინებულ 16 ობიექტად, აშენდა მხოლოდ, ნათქვამი სოფ. აბოსის პავილიონი, რომელიც უკვე ინგრევა. მთელი ქარელის რაიონის წყალსადენის მდგომარეობა მოუწესრიგებელია. კანალიზაციის მდგომარეობა კიდევ უარსება; ქუბის მშენებლობა შესრულებულია უიზოლიციო; კანალიზაციის მიღობის შეერთება ერთმანეთთან ცუდი ხარისხისა, რაც იწვევს გრუნტის წყლების დაბინძურებას. . .

რაიონის ცენტრში ასფალტისანი ქუჩები, თითქმის არაა. ჩამორჩენა საგზაო მშენობლობაშიც; ახალსოფლისა და მტკვარზე, და მის შესართავ მდინარე ძამას შორის მდებარეობს რვა სოფელი, რომლებიც ფონით ან მოძრავი ბორნით უკავშირდებიან რაიონულ ცენტრს.

ახალსოფელში, ლურსმანაშვილის სახლს ცეცხლი გაუქნდა, სახანარო რაზმის მანქანამ დაწვობის გამო დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია და სხვა.

ამ ამბავს ვინმე ოპოზიციონერი კი არ მოგვითხოვრებს, არამედ გაზეთ კომუნისტის სპეციალური კორესპონდენტი რ. ბასილაშვილი. (გაზეთი „კომუნისტი“ 20. 5. 75.)

ჩვენ კარგად ვიცით ბასილაშვილი ამის დაწერას ვერ გაბედდა, რომ პარტიის ცეკასაგან არ ჰქონდეს დავალებული და ისიც, რომ ქარელის პასუხისმგებელ პირებს წყალი აქვთ შემდგარი. მაგრამ კორესპონდენტ ბასილაშვილის მიერ აღწერილი ფაქტები სრული ჭეშმარიტება და მას არაფერი აქვს საერთო, სამჭოთა პროპაგანდის ტრიუმფალურ განცხადებებთან: „საქართველოს აყვავება და ქართველ ხალხის ბედნიერ და სამაჟურ ცხოვრებასთან...“

მამაკლი.

## საერთაშორისო ქონიკა

ანდ. სახაროვი ნობელის პრემიის ლაურეატი ნობელის პრემიის მსოფლიო კომიტეტმა, 1975 წლისათვის, მშვიდობის ნობელის პრემია მიანიჭა აკადემიკოს ანდრეი სახაროვს. პრემიის რაოდენობა: 630.000 ფრანგული ფრანკი, რომელიც საღვთისწალო ვითარებაში მის გადაცემა ქ. ოსლოში, 10 დეკემბერს, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ ნება დართო გამოსვლის და უკან დაბრუნების.

ნობელის ეს საერთაშორისო პრემია, უეჭველად, წარმოადგენს ანდრეი სახაროვის დამახსურების სამართლიან აღიარებას მსოფლიოს მშვიდობიანობის შექმნის საქმეში. თვით ლაურეატმა განაცხადა, რომ ეს პრემია დიდად გაამხივებდა საბჭოთა კავშირის ყველა პოლიტიკურ პატიმარს, იმედს ჩაუნერგავს მათ, რომ ძირინი დაიწყებული არ არიან მსოფლიო საზოგადოების მიერ.

1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი დიბადა 1921 წელს. 1945-ს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და დაიწყო საკლევ — სამეცნიერო მუშაობა მოსკოვის აკადემიის, ლებდევის სახელობის ფიზიკურ ინსტიტუტში. მისი ჯგუფი იკვლევდა ატომ-ბირთვის თერმოდინამიკას. ამ ჯგუფის გამოკვლევებმა საშუალება მისცა საბჭოთა კავშირის პირველი ატომიური ბომბის პრაქტიკული განხორციელებისას.

თავისი კვლევის შედეგები, ანდრეი სახაროვმა გამოაქვეყნა ნარკვევების სახით, რამაც ახალგაზრდა მეცნიერს გზა გაუხსნა საბჭოთა მეცნიერების მწვერვალებისაკენ: 32 წლის ასაკში, არჩეულ იქნა ნამდვილ აკადემიკოსად. მთავრობამ დააჯილდოვა სამჯერ სოციალისტური გმირის ორდენით, ლენინის ორდენით და მრავალი სხვა ორდენებით. მისი ძირითადი ჯამგაირი შეადგენდა ორი ათას მანეთს და ჰქონდა საბჭოთა რეიტიში არსებული განსაკუთრებული პრივილეგიური პირობები.

1960-ან წლებიდან, მას შიში იპყრობს მოსალოდნელი ატომიური ომის შესაძლებლობის და იწყებს აშკარად ატომიური იარაღის აკრძალვის სასარგებლო აგიტაციას. შემდეგ თანდათან მისი საქმიანობა უფრო მზავალდებოვანი ხდება, ინტერესდება პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობით; მოითხოვს უსამართლოდ დასჯილთა განთავისუფლებას, მოითხოვს გამოძიებისა და სასამართლოს ორგანიზებისაგან დაიცვან საბჭოთა კანონები. ბოლოს, მისი ინიციატივით არსდება საბჭოთა კავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა, რომლის თავმჯდომარეობას თვითონ კისრულობს. როგორც ცნობილია საბჭოთა კავშირმა, საფრანცისკოში ხელი მოაწერა ონუს დეკლარაციას ადამიანის უფლებებზე; საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში მას არ აზორცილებს. — სახაროვი სწორედ ამხელს ყველა ამ უფლებების დარღვევებს და მათ აღუწყებს მსოფლიოს საზოგადო აზრს.

ამრიგად ანდრეი სახაროვის პიროვნება, ყველაზე მეტ ჩრილის აყენებს ლ. ბრეჟნევის და მის მიზნების მიხედვით ეილობო პოლიტიკას.

ანდრეი სახაროვის განცხადებით: ზავი და მშვიდობიანი თანაარსებობა, არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიც არის, მაგრამ ამისათვის, უპირველესად საჭიროა ურთიერთ ნდობის აღმოსაფეროს შექმნა, რაც მოითხოვს საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციას, — მის ევოლუციას თავისუფლების და დემოკრატიკისთვის. ნობელის პრემიის ლაურეატს ამ ევოლუციის იმედი ჯერ კარდულუ-კარგავს. ღმერთმა ქნას და გაუმართლდეს! ჩვენ კი ეჭვი გვეპარება.

მიტიინგი ლემონიდ პლიუმშის მსახურებზე.

23 ოქტომბრის 1975 წელს, პარიზში, მუტუალიტეს დარბაზში, (სენ ვიკტორის ქ. № 24), გამართა საერთაშორისო მიტინგი, საბჭოეთში, სპეციალურ ფსიხიატრულ საპატიმროში დატყვევებულ უკრაინელ პოლიტიკურ პატიმარის, მათემატიკოს ლიონიდ პლიუმშის დასაცავად. მიტინგი მოამზადა და მონაწილეობა მიიღო:

— ლ. პლიუმშის დაცვის, მათემატიკოსთა საერთაშორისო კომიტეტმა;

— ამნესტი ინტერნაციონალმა;

— ბერტრან რუსელის საზოგადოებამ;

— ადამიანის უფლებათა ლიგამ, ((პარიზი);

— სტუდენტთა და მასწავლებელთა პროფკავშირებმა;

— აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ პატიმართა, დაუყვანილივ განთავისუფლების კომიტეტმა;

— სოციალისტურ ქვეყნებში, თავისუფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა.

— საბჭოთა კავშირში, სპეციალური ფსიხიატრული საავადმყოფოების საწინააღმდეგო კომიტეტმა.

— საბ. კავ. პოლიტიკურ პატიმართა დაცვის კომიტეტმა.

პარიზის დიდ - კონფერენციების და მიტინგების განთქმული მუტუალიტეს დარბაზი გაქედილი იყო დამსწრეებით. ადგილის უქონლობის გამო, ერთი იმდენი იმყოფებოდა ფიფი და შესასვლელის წინ ეზოში. დამსწრეთა უმრავლესობას შეესაძლებდა მოსწავლე და მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც არაჩვეულებრივი წესრიგით უსმენდა ესტრადაზე გამოსულ ორატორებს.

ყოველი მოწოდება, როგორც ლ. პლიუმშის, ისე სხვა უდანაშაულო პოლიტიკურ-წამებულის გასანთავისუფლებლად, დამსწრეთა შორის, იწყებდა მხურვალე ოვაციას. ისმოდა ძახილი: „საერთო მოქმედებით დავიცავთ თავისუფლებას!“. „მოითხოვით პლიუმშის და საბჭოთა კავშირში უკანონოდ დატყვევებულ, ყველა პოლიტიკურ პატიმარების განთავისუფლებას. პლიუმშის ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა არის! ძირს ყოველი ფერის დიქტატურა და სხვა. რაც იშვიათი მოვლენაა: მიტინგის მეორე დღეს გაზუთ „ლუმინიტემ“, თავის მოწინავეში, მოითხოვა ლიონიდ პლიუმშის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.



### „სახარკოს ტრიბუნალი“ ქალაქ კომპანაპანში.

ა/წ. 15-დან 19 სექტემბრამდე, დანიის დედა ქალაქ კომპანაპანში ადგილი ჰქონდა მეტად ორიგინალურ და საინტერესო მანიფესტაციას. მხოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ მოვიდნენ და სპეციალურ შექმნილ ტრიბუნალს წინაშე ჩვენება მისცეს. „გულაგის არქივულაგში“ ნამოყვება დამოიწებმა. რომლებმაც კოტა ხნის წინად დააღწიეს თავი საბჭოთა კავშირს. ამ ტრიბუნალის შექმნის იდეა ეკუთვნის აკადემიკოს სახაროვს. მან ჩამოსწავლა ვერ მოახერხა; ამიტომ მისთვის გააქუთუნებლ ადგილას მოთავსებული იყო, ნობელის პრემიის ლაურეატის სურათი.

ტრიბუნალში, თავმჯდომარის მარცხენივ, პერბენდიკულიარულად მოთავსებული იყვნენ მოწმეები, ხოლო თავმჯდომარის მარჯვენე ვამოიწენი პარლამენტარები, ეკლესიის მსახურნი, მწერლები, იურისტები და სხვა, რომლებიც აძლევედნ შეკითხვებს.

ტრიბუნალის დაკითხვები ემსახურება 3 ძირითად თემას: 1. პოლიტიკური და იდეოლოგიური რეპრესია საბჭოთა კავშირში. 2. რელიგიური დევნა და ფსიხიატრიის მავნე გამოყენება; და მე-3. ეროვნული უმცირესობათა რეპრესია.

### „პრეზანს სოციალისტ“-ის კონგრესი

ა/წ. 8 და 9 ნოემბერს, ქალაქ ლილას (პარიზის ვარეზბანი), სადღესასწაულო დარბაზში, ჩატარდა საფრანგეთის სოციალისტების ეროვრთი მიმდინარეობის: „პრეზანს სოციალისტ“-ის მე-3 ეროვნული კონგრესი.

ამ პარტიას საფუძველი ჩაეყარა 1970 წელს, მის შემდეგ რაც საფრ. სოც. - დამოკრატული პარტია საარჩევნო კავშირში შევიდა კომუნისტურ პარტასთან. „პრეზანს სოციალისტურ“ პარტიის კომიტეტის აღმასრულებელ ზეიურის თავმჯდომარეა დოქ. ლიენ ზუტბიენი; თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გი ვინატრელი. ორივე სოციალისტური მოძრაობის ძველი ვეტერანია და დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწე. ისინი არასოდეს შემთხვევას არ ფუშვებენ საჯაროდ ამხილონ საერთაშორისო კომუნისტის შეთქმულება, საბჭოთა კავშირის რევიმის იმპერიალისტული და ტრანსნული ხასიათი. კონგრესს დავსწრენ და მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს, საბჭოთა კავშირის ტყვეობაში მყოფ გრთა წარმომადგენელებმა. ქართველებს წარმოადგენდა გიორგი წეირეთელი.

### ჩინეთი აფრთხილებს.

7 ივლისს, ვაზეთი „ფიგარო“ იტყობინება პეკინიდან: ჩინეთის სახალხო დემოკრატიის ოფიციალურმა ვაზეთმა „ხალხის ყოველდღიურმა“ კვლავ გააფრთხილა საბჭოთა კავშირი, რომ ის, არ შეეცადოს იმ სიცარიელის შევსებას, რაც გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატების გასვლამ ინდოჩინეთიდან.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ეკუთვნის მის მტკარებულეს, რომლებიც არასოდეს არ დაუშვებენ ჩინეთს შეეცაოს სიცარიელე, რომელსაც ისინი არც ერთხელ დაუტოვებენ.

### ჩინეთი და ევროპა.

ა/წ. მისში, საფრანგეთს, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მოადგილე დენ-ჰსიაო-პინი, მნიშვნელოვანი დელეგაციის თანოვლებით. თუ მხედველობაში მივიღებთ მაო-ცენ-დუნის ღრმა მოხუცებულებას და შუ-ან-ლეს ავადმყოფობას. — დენ-ჰსიაო-პინი ფაქტიურად, ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მოღვაწეა.

სულ ცოტა ხნის წინად, ჩინეთმა ოფიციალურად იცნო ევროპის საერთო ბაზრის ორგანიზაცია და მის წინაშე დანიშნა სრულუფლებიანი ელჩი.

### დამოუკიდებელი მოზამბიკა.

ხუთი საუკუნის განმავლობაში, მოზამბიკა წარმოადგენდა პორტუგალიის საკუთრებას. მოზამბიკის ხალხი რამოდენიმე ათეული წელია იბრძვის ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის და ისარგებლა რა პორტუგალიაში მომხდარი გადატრიალებით, მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა ამა წლის 25 ივნისიდან

### ანგოლა დამოუკიდებლობა.

ა/წ. 11 ნოემბერს, პორტუგალიის რევოლუციონურმა მოთავრობმა, დაპირებისამებრ, ოფიციალურად დამოუკიდებლობა მიანიჭა ანგოლას. და ამრიგად აფრიკაში კვლავ ჩამოყალიბდა ახალი დამოუკიდებელი ქვეყანა. ისი ტერიტორია ორჯერ მეტია საფრანგეთისაზე, ხოლო მოსახლეობა შეადგენს, დაახლოვებით, 6 მილიონს. აქედან, 500.000 ევროპიელია და ამდენვე მეტისი.

მეტად შავი პერსპექტივები უდგას დამოუკიდებელ ანგოლას. უკვე რამდენიმე თვეა, სისხლისმღვრელი ომი სწარმოებს, ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ომმა უკვე 20.000 კაცზე მეტი იმსხვერპლა და, აყვალაფრადან ჩანს, რომ მალე არ დამთავრდება.

ანტაგონისტთა ერთი მხარე, რომელსაც მ. პ. ლ. ა. (ანგოლას განთავისუფლების სახალხო მოძრაობა) ეწოდება, კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელია და სარგებლობს საბჭოთა კავშირის და სახალხო რესპუბლიკების დახმარებით, ხოლო მეორე: „ფ. ნ. ლ. ა.“ (ანგოლას განთავისუფლების ნაციონალური ფრონტი). მისი მოწინააღმდეგე კი ამერიკის, ზოგიერთი აფრიკელი მეზობელი სახელმწიფოს და ჩინეთის დახმარებით, ყოველგვარი პირობა არსებობს განმარტდეს ბელგიის კონგოს ამბები. „ფ. ნ. ლ. ა.“-ს უფროსმა პოლდენმა განაცხადა: „მე არ ვარ ანტიკომუნისტი, მაგრამ ვარ წინააღმდეგე ანგოლას გასამტკობის. მე არ მინდა, რომ პორტუგალიის ბატონობა შეეცალოს საბჭოთა კავშირის ბატონობამ“-ო.

## † სხვერიანე ჰირაქაძე

ამა წლის 24 ოქტომბერს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. ემიგრაციაში კარგად ცნობილი, პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი სვერიანე ჰირაქაძე.

განსვენებული, უკვე კარგა ხანია ქუჩის წყლულით იყო დაავადებული და მისგვარად დასუსტებული კაცი არც უნდა ჩამოსულიყო პარიზში რომანად, სადაც იგი გამოდგინით ცხოვრობდა. მაგრამ როცა მას ეს საქციელი შეგობებმა არ მოუწონეს, მან სთქვა: ჩემთვის სხვაგვარ ცხოვრებას აზრი არა აქვს, თუ ქართულ საქმეს და მოქმედებას გამოვეითებო. ახლა იმითმ ჩამოვდი, რომ ავგისტოს აჯანყების მოსავგონარ დღეს, და ქაქუცას ძეგლის გახსნას დავესწროო. და თუ სიკვდილი ძიწერია, მიჩვენა პარიზში მოკვდე, ქართველებთან დაეიმარხები ლევილში და მერე დაიმბა: დასამარხი ფული ზედვე მაქვს, ამაზე უკვე ვიფიქრო.

საბუთდროთ, ეს ვარაუდი გამართლდა, მაგრამ არასასურველი ნაწილი: რადგან იგი ავგისტოს დღის მოწყობაზე სამოიდ დღით ადრე მოხედა საავადმყოფოში და ერთ კვირაში სული დალია.

სვერიანე ჰირაქაძე, საბუთების მიხედვით, დაიბადა ქუთაისში, 15 იანვარს, 1900 წელს, მაგრამ მისი ბავშვობა მამაპაპულ სოფელ კილოვანში გაატარა, გელათის მონასტრის მიდამოებში..

საშუალო განათლება ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიიღო, ხოლო უმაღლესი — ტფილისის უნივერსიტეტში. იგი ჭბუქობიდანვე ჩაება ეროვ. დემოკრატიულ მოძრაობაში და ამ პარტიის მოქმედი მოწინავე წევრი იყო სოფელამდე.

ავგისტოს აჯანყების შემდეგ, იგი იძულებული შეიქმნა სამშობლო დაეტოვებინა. საფრანგეთში ჩამოსული, რამოდენიმე წელიწადი პროვინციის სხვადასხვა ქარხნებში მუშაობის შემდეგ ქ. ვალენტინეში დაქვიდრა. სადაც პეტოს ავტომობილის ქარხანაში მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე. სვერიანმა ქ. ვალენტინეში ცოლად შეირთო, ადგილობრივი ფრანგის ქალი, შექმნა პატესაცემი ოჯახი, ვაზარდის ერთი ვაჟი, სახელად ქრისტან. რომელსაც კარგი განათლება მისცეს. იგი ახლა ოცდაათათივე წლისაა, უკვე ცოლშვილიანია და ქალაქ მონბელიარში ცხოვრობს. სადაც მას ადგილობრივი კულტურული საქმეები აბარია ადგილობრივ მუზეუმთან ერთად.

სვერიანე ჰირაქაძე რედაქტორი იყო ერთ-დემოკ. ჟურნალ „ევერასის“ის თანამშრომლობდა ო.ტ.-ში: „კავკასიონში“ და სხვა გამოცემებში; უკანასკნელ წლების განმავლობაში იგი თავმჯდომარეობდა სოშის სათვისტომოს.

უაღრესად კულტურულ და განათლებულ ადამიანს, მას ახასიათებდა უაღრესი ლოიალობა, ამტანობა და ადამიანებთან შეთვისების უნარი, ამიტომ, კველას ვინც მას იცნობდა, მისი ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მ. ქავთარაძე.

## † ვანო ნანუაშვილი.



კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი გამოგვეხსენებოდეს ლიწადში. 14 ავისტოს, ქ. სან ფრანცისკოში, (ა. შ. შ.), გარდაიცვალა ვანო ნანუაშვილი.

ვ. ნანუაშვილი დაიბადა 1927 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სწავლობდა. ე. წ. იუნკერთა საოფიცრო სკოლაში. როცა წითელი არმია შემოვესია იუნკერთა ბათალიონი მამაკურად მტერს წინ აღუდგა და დიდი ზარალი მიაყენა, უკუაქცია კოჯორთან და ტაბახმელსთან. ვ. ნანუაშვილი იყო ამ გმირული ბრძოლების მონაწილე.

დამარცხების შემდეგ, ვანო ნანუაშვილი სტოვეს საქართველოს; ჯერ საბერძნეთში, შემდეგ კი გადის პოლონეთში. სადაც ის ბრწყინვალედ ამთავრებს სახელსა და აკადემიას და მსახურობს პოლონეთის ჯარში. ამ დროს, პოლონეთის არმიის მსახურობს მრავალი ქართველი ოციკერი.

პოლონეთ-გერმანიის ომის დროს, ვ. ნანუაშვილი ჩავარდა ტყეით გერმანელებთან, სადაც მან დაპყ 1941 წლამდე. განთავისუფლების შემდეგ მან დიწყო ფარული მუშაობა გერმანიის ნაცისტების წინააღმდეგ. 1944 წელს, მან მოახერხა ამერიკის ჯარებთან შეერთება იტალიაში; შევიდა ინგლისის მხარეებში მებრძოლ პოლონურ ჯარში და აქტიური მონაწილეობა მიიღო იტალიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ომის დამთავრების შემდეგ, ვ. ნანუაშვილი გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1951 წლიდან დასახლდა ქალაქ სან ფრანცისკოში. აქ ვ. ნანუაშვილი ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, — მტკიცე კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ აქტიურ ძალებთან, სადაც თავს იყრდა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ერთა პოლიტიკური ემიგრაცია, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ ერთა შვილები. ამ საზოგადოებაში, ვ. ნანუაშვილი სარგებლობდა დიდი ნდობით, გავლენით და პატივისცემით.

განსვენებული იყო დიდი ერთდციის ადამიანი. ის განსაკუთრებით დახელოვებული იყო სტრატეგიულ და პოლიტიკურ საკითხებში და ამ დარგში მის კალამს ეკუთვნის არა ერთი ნარკვევი, როგორც ქართულად ისე პოლონურად და ინგლისურად. ამათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია — ნიუ - იორკში, ვაშინგტონში, და პოლიუელში, ერთდამივე დროს გამოცემული 384 გვერდიანი წიგნი: „რა უნდა იცოდეს ყოველმა ადამიანმა თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. ამ წიგნის რაობის შესახებ „თავისუფლების ტრიბუნა“ მე-3 ნომერში უკვე დაიბეჭდა ბატონ ალ. მანველიშვილის საკმაოდ ვრცელი წარილი. ვ. ნანუაშვილის რედაქტორობით იცე-



მოდა ომის წინ ქართველ მხედრების კრებული: „მხედარი“. ამის გარდა განსვენებული აჭყენებდა ქართული ემიგრაციის თითქმის ყველა ურნალ-გაზეთებში. ის დიდი სიხარულით გამოეხმაურა „თავისუფლების ტრიბუნას“ გამოსვლას. ვეთავაზობდა მკიდრო თანამშრომლობას, გეწერდა მისი შიშველი სტატიების სათაურებს... სიკვდილმა აღარ დააცალა და მოკვდა კაცი მხურვალე ქართული გულით, შორს მისი საყვარელი მამულიდან.

სული მისი ვერ მოიციდის უცხოეთში, და ნათლად დაადგება მთაწმიდასა და საერთოდ, საქართველოს (კას.

გ. ნოზაძე.

**რ ვ ე ნ ი ქ რ დ ნ ი კ ა**

**აგვისტოს აჯანყების ფლისტაში და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლის გახსნა.**

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონარად, ამა წლის 27 სექტემბერს, ლევილის შმათა სასაფლაოზე, ქართველთა საერთო ძეგლ-საძვალესთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა. და საერთოდ, საქართველოსათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდის შემდეგ, ამ დღესთან შერწყმით, მამა ილიამ აკურთხა ეროვნულ გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ახლად დადგმული ძეგლი, რომლის მხატვრული ავტორია, პარიზში მცხოვრები ხელოვანი გუჯი ამაშუკელი.

ძველი წარმოადგენს გრანიტის ლოდს, რომელზედაც, სიგრძეზე დადებულ, ბრინჯაოდან ჩამოსხმულ უსაზრმახარ ქართულ ხმაღს, ბრინჯაოისებუ ფარი ადგეს, შუაში ცხენოსან წმიდა გიორგით. მის ირგვლივ განლაგებულ შვიდი ჯვრით შემკული, რომელთა მოხატულობა და სტილი, ძველ ქართულ ჯვრების სახესხვაობიდან არის გადმოღებული. ამაშუკელს მოუხერხებია, ამ ერთი შეხვედრით მარტივი მოტივით, არა მარტო ამ ძველსათვის შესაფერ სიმბოლიკის მინიჭება, არამედ, აგივე სიმარტივე ან ძველს, პრისანების და დიდებულების სახესაც აძლევს. ბრინჯაოისავე ასოებით გაკეთებული ქართული წარწერა ამბობს: ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ეროვნული გმირი. ხოლო ფრანგულად: ქ. ჩოლოყაშვილი, საქართველოს ეროვნული გმირი.

ძველთან, მისი კურთხევის შემდეგ, წარმოითქვა მხოლოდ ერთი სიტყვა, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის წევრის ბატონ ნაიე ცინცაძეს მიერ.

ამის შემდეგ, ლევილის ქართულ მამულში გაიმართა ტრადიციული სადილი, რომლის დროსაც სუფრას თამალობდა ბატონი ლევან ფალავა.

სიტყვები წარმოსთქვეს: თამადამ ლევან ფალავამ, მირიან მელუამ, გიორგი წერეთელმა, ვანო ციციშვილმა, გია სარჯველიძემ.

**კ. გამახაშვილის ხსოვნის დღე მიუხედავად**

მიუხედავად გვატყობინებენ: ა/წ. აგვისტოს 27-სა და 28-ის ეწყობა კონსტანტინე გამახაშვილის ხსოვნის დღე. პროგრამაშია:

— 11 საათზე და 30 წუთზე ორბოკის პანაშვიდი, მიუხედავად ბოძნულ ეკლესიაში.

— 12 საათზე და 30 წუთზე, შეგინგერ ჰოფენბერლის დარბაზში, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრება, რომლის დროსაც სიტყვებით გამოვლენ: ექიმი გიორგი ვეფხვაძე და შალვა კალანაძე.

საქართველოს დამსახურებული მსახიობი ნუგზარ შარია წაითხაძეს რჩეულ ადგილებს სახელგანთქმული მწერლის შემოქმედებიდან.

**† მიხეილ გრიგოლის ძეგლის გახსნა**

ერთი წელიწადი გავიდა მიხეილ გრიგოლის გარდაცვალებიდან. ა/წ. 14 სექტემბერს, შაბათს, ლევილი, განსვენებულის საფლავის ირგვლივ შეიკრებენ მისი მეგობრები. მიძღვარმა ილიამ, ჯერ აკურთხა ახლად დადგმული ძეგლი. შემდეგ კი ვადაიხადა პანაშვიდი.

**ქართველები უცხოეთში**

**ილია ქაუჭანიძის წარმატება**

ქართული ემიგრაცია კარგად იცნობს ილია კუჭანიძეს, იგივე მინდია ლაშაურს, გარდა რადიო „თავისუფლება“-ში მოღვაწეობისა, ის ნაყოფიერი შემოქმედია და მისი კალამს ეკუთვნის სხვადასხვა საკითხებზე გამოქვეყნებული მრავალი წერილები, ლექსები და „კავკასიონის“ უკანასკნელ ნომერში, ისტორიული მოთხრობა: „ლაზთა მეფე გუტაზ მეორე“.

1961 წელს, ასევე მინდია ლაშაურის სახელით ი. კუჭანიძემ გამოსცა, ორიენინალური და სინტერესო წიგნი: „ქართული სული“.

ჩვენს დღევანდელ განზრახვაში არ შედის ილია კუჭანიძის შემოქმედების განხილვა და დავასება, აქ ჩვენ გვინდა მხოლოდ ჩვენს მკითხველებს ვუწყოთ, რომ მინდია კუჭანიძემ წარმატება მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბითაც.

ინტერნაციონალურმა სალიტერატურო კრებულმა: „ბოკს აბროად“. რომელიც იცემა ოკლაჰომას (ა. შ. შ.) უნივერსიტეტში. ა/წ. აგვისტოს, თითქმის მთელი ნომერი დაუთმო ილია კუჭანიძის ნარკვევს: „საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზია“. ამავე დროს ავტორს შემოხვევით უსარგებლია, და მკითხველებს აცნობს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას დასაბამიდან გასაბჭოებამდე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ „ბოკს აბროად“-ის რედაქციას ბ-ნი ილ. კუჭანიძე, მის მუდმივ თანამშრომლად მიუწვევია.

ძვირფას თანამემამულეს ვუსურვებთ ჯანმთელობას და ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

## ვალერი ჯუბინიძის მოგონებების გამოცემა

(დასასრული, იხ. ო. ტ. №№ 5, 6, 8).

მართალია ფედერალისტებმა თავიანთ თავზე აღებულ მოვალეობა არ შესარულეს და მით დაუცველი დაგერჩა მთავარი უბანი, მაგრამ განა ამდენი ორგანიზაციული მოქმედება მთელი ხალხის, ქალიან კაცთან და დიდთან პატარიანა გამოოსლა და ბრძოლა შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითად? (როგორც ამას გ. ჯუბინიძე წერავს).

როგორც ზევით მოვიხსენიე, სოც. დემ. პარტიის კომიტეტმა და დამკომბა გაიზიარა შ. რ-ის მიერ წარმოდგენილი გამოსვლის გეგმა და იგი სწორედ ამ გეგმის მიხედვითაც ჩატარდა ძირითადად

27 ავგისტო, საღამოს 7 საათია, ჩემთან შემოდის გ. ჩაჩანიძე, მეუბნება: „ამ წუთში პატარა ბიჭს ფეხი ვაეაწმინდე, ფული არ აიღო. მითხრა: “ფული რათ მინდა, ხელო თავისუფალი ვიქნებით“-ო; ასეთი დრეტილიც კი თქვა: „შენ მილიციის უფროსად იქნები“-ო. არიქა თვალყური ადევნე არ ვაგვეცეს, ვუთხარი. — გ. ჩაჩანიძის წასვლის შემდეგ შემოდის ვანო ბოცვაძე, თავისებური სიტყვით. — როგორ არის საქმე? „ჩონი და პრეფ. კავშირებს დაიჭირებ. სხვებს ყველას თავთავის ბინაზე გაეპაჩაეთ. ტარასი მგალობლიშვილს მისი შვილები დაიჭირენ და სხვა“. ერთი საათის შემდეგ, კვლავ შემოდის გ. ჩაჩანიძე, — რა ამბავია? — „ბოლშევიკები ქვიდობენ. ისე არიან გარყვნილები, რომ პატარა ბიჭიც საიდუმლოს ინახავს.“ დაღამდა. ყველგან სიწყნარეა. კოკისპირული წვიმა მოვიდა. ხილდებზე და ბოგარებზე გუშავიობენ. მთელს მოქმედებას ხელმძღვანელობს კომიტეტი, მასთან არიან დაკავშირებულები ყველა მომქმედი ჯგუფები კავშირებით. ერთ მთავარ ჯგუფს ხელმძღვანელობს შ. ბ. მასთან უშუალო კავშირშია ვანო ბოცვაძე, რამდენი მოვალეობა ჭიათურის პირველი ჯგუფისა და პოევისა-შუქუთის ჯგუფების მოქმედებათა შეთავსება-შეწყობაზე.

12 საათზე წვიმა შეწყდა. დღეებმა მალე დაიკლო. ხიდიბიდან და ბოგარებიდან გუშავები მოიხსნა. მეთვალყურეები ცნობებს იძლევიან. კონსპირაცია არსად დარღვეულა. დილის ორი საათია. ყველგან სიწყნარეა. მეთვალყურეებს ცნობები მოაქვთ, რომ თითქმის ყველა წაივდა დასასვენებლად სახლში მილიციისად. მათში მყოფმა ჩვენებმა განმეორებით მიიღეს დარეკტივები. ყველამ მიაშურა თავ-თავის პოსტს. სალიეთიდან მატარებელი შემოვიდა სადგურზე. დარეკტივიდანაც მოვიდა. გადის ხუთი წუთი. პერევისის მხრიდან ვეგარა თოვნი. შემდეგ სროლა გაძლიერდა. სადგურიდანაც გაისმა თოვის ხმა, მაგრამ ეს არ არის დატყეული ზედნიშვდ სამი გასროლა. რკინიგზის მხრიდან ძლიერ და დაქინებული სროლაა. ყოველმხრივ გაძლიერდა სროლა და შემახილი. ერთობით

კავშირი, ახალგაზრდა ქალი მოიჭრა რევოლუციით ხელში და განაცხადა: „პერევისის მხრიდან. ვანო ბოცვაძე მოგვიცელს“-ო. მას როგორც კავშირის წევრს არ უნდა უფლება იარაღის ქონების, ამიტომ ებრძანა დამემა იარაღი და თავის ადგილზე დაბრუნებულიყო. ვანო ფხლამეც, როგორც კავშირიც არ უნდა ჩარეულიყო ხელნართულ ბრძოლაში, მაგრამ მას ვეღარ მოეთმინა, ჩარეულიყო და „ჩონის“ ადების დროს მოეკლათ. სწორედ ვანო ბოცვაძეს („ჩონის“) გვერდით. ამიტომ ვანო ბოცვაძე ამხანაგის სტიქილის შემდეგ უფრო ფრთხილად შეაკრდაც იქცეოდა. მოხდა კიდევ ერთი ფაქტობი. მეორე ჯგუფის ერთმა მომქმედებამ, მოქმედების დროს დაიჭირა შ. ბ. არც მაგარმა შემახილმა, არც პაროლმა არ იმოქმედა. მან უთხრა შ. ბ.-ს: „გუშინ პრეფკავშირებში რომ ვიყავი. შენ იქ მოქმედებდი. შენ რომ მათი არ იყო იქ რას აკეთებდი“-ო. მას კომიტეტში შ. ბ.-მ მალდობა უთხრა ასეთი მოქცევისათვის. ბრძოლა რომ სასტიკი იყო, ამას ადსტურებს ვანო ფხალაძის სიყველილი.

ინათლა, ისმის სირბილი და შემახილი. მთელი ხალხი გამოსულა. ქალები იჭერენ კომუნისტებს და მოყავთ. ამბობენ: ამან ვაგვეწია წინააღმდეგობა, ამას არ ვაუწყებთ. ზედა ხიდის თავში, ბაზრის მხარეზე საგუშავოზე, დგას ორი გუშავი, მათ წინააღმდეგობა არ ვაუწყებთ, ნ. ს-მ ჩამოგლიჯა იარაღი, აქეთა მხარე მთლიანად გაიწმინდა, ხოლო გაღმინდა კიდევ ისმის სროლა, ხანგამოშვებით. მომქმედთა ერთი ნაწილი გავიდა ქვედა ხილზე და უფლის უქანდნად ჩეკას, ხოლო მეორე ნაწილი დღიდან და გზიდან მიიწეეს, და მიაღწიეს პილიციას. ისმის ვალიყო ჩუბინიძის ხმა: გამოდი! ხომ ზედაეთ რა ამბავია“. მილიციიდან ხელაწეული გამოდიან. ქვემოთ უყვე შემოერთყვენ ჩეკას. კვლავ გაისმის ვალიციის ხმა: „გამოდი! ჩვენ თქვენსათვის მოსისხლარი ხომ არა ვართ, არ დაგზოცაეთ. ჩეკისტები არ გვენებდებიან. კიდევ დაუყვრა ვალიყო, მაგრამ იქიდან გაისმა თოვის სროლის ხმა. „მომიციე ეგ ბომბი, შევაგდებ და ამოეწყვიტებ ყველას“, ყვირის ვანო ბოცვაძე (ჩონის). ერთმა დაჭრილმა კომუნისტმა იყვირა: „არიქა გამოდი თვარა ჩონისა დაგხოცავთ ყველას“-ო, რის შემდეგაც იწყებს გამოსვლა ჩეკისტებმა, ხელაწეულებმა. და საათისთვის, ბრძოლები შეწყდა. დატუსაღებულია 1200 კაცზე მეტი. არავითარ უწყსოებას ადგილი არ ქონებია. ყველაფერი შესრულდა გეგმის მიხედვით, მხოლოდ ფედერალისტებმა თავის თავზე აღებული ვალდებულება არ შესარულეს და კიდევ მეტი. არც შეუტუბინებიათ, რომ არ ვასრულებთ და მით დაუცველი დაგერჩა პირველი და მთავარი უბანი.

როცა მატარებელი მოსულა, იქ ყოფილა მეორე ჯგუფის ორი მომქმედი, და როცა მატარებელს არავინ მოყ-

ვა, და ხუთ წუთში პერევისის მხრიდან მოქმედება დაიწყეს, მათ ვაჟთარალებით სადღურზე მყოფი ორი მილიციონერი. ერთ მათგანს მოუსწრია თოვის გასროლა. ეს დატყვევებული მილიციონერები მოიყვანეს შესაგროვებელ ადგილს, მაგრამ სანამ მომქმედებე უკან სადღურზე დაბრუნდებოდნენ, მომხდარა ფოსტიდან ტელეფონო-გრამის გადაცემა, და ორთქმავალის გააჩრება ერთი კაცი.

„ჩონს“ საწყობში აღმოჩნდა 800 ვარგისი თოფი და 400 უვარგისი. ვაზნები აღმოჩნდა სამი ათას ხუთასი.

გამოიჩვენა: კომუნისტებს მიცემული ქონდათ თითო თოფი და ექვსი ვაზნა. ეს ექვსი ვაზნა მალე შემოვილიათ და ამითაც აიხსნება, ის მკარები წინააღმდეგობა, რომელიც მათ გაავიწყის.

იარაღის საწყობების და სხვათა შესახებ ცნობების შედგენა ვეალებოდა სამხედრო კომისიას.

აღფრთხიანებული ხალხი მოდის ყოველ მხრივ. სახვედურობს თუ რატომ არ შევატყობინეთ და არ მივაღებინეთ მონაწილეობა და მოითხოვე იარაღს ბრძოლის გასაგრძელებლად, სხვების მისაშველებლად.

თანახმად დამკომთან შეთანხმებისა, როგორც კი გამოსვლა ვიპარაჯებდა მაშინვე მოქმედების ხელმძღვანელობა უნდა ვადასულიყო მხედრების ხელში. დამკომისაგან სამხედრო ხელმძღვანელად დანიშნული იყო სვიმონ წერეთელი, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა მიწვეული. მან შემოიკრიბა ოფიცერთა ჯგუფი, გააცნო რა მდგომარეობაშია გამოსვლა, და განაცხადა: ამ მომენტიდან გამოსვლის ხელმძღვანელობა ჩვენს ხელს იქნება, მხედრებმა მოითხოვეს ანგარიში ცოცხალი ძალის და შეიარაღების. მათ მოხსენიდა, რომ ცოცხალი ძალა ის ხალხია, რომელიც თავისი ნებით ლეზბელობას სამშობლოს დაცვის ვალდებულებას. მთავარი ის არის, რომ თქვენს განკარგულებაშია ადგილობრივ დამკომის უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს სოც. დემ. მუშათა პარტიის მძლავრი ორგანიზაცია. იარაღის საქმე ასე იყო. ხუთასი თოფი უკვე დარიგებულია მომქმედთა შორის, თოფები კიდევ იყო. მაგრამ ვაზნები არ იყო. მხედრებმა თათბირის შემდეგ განაცხადეს: ვაზნების უქონლობა ქმნის მოქმედების შეუძლებლობას. ამ ვაზნებით ავიღო-ლობრივი თავდაცვაც შეუძლებელია, თუ საიდანმე იერიში მოიტანეს, ხოლო შეტევაზე წასვლაზე ფიქრიც არ შეიძლება, იმ დღესვე მოხდა რაზმების შედგენა ჭიათურის დასაცავად. შორაბნინად შეგვატყობინეს: „ჩამოვიდა კურსანტების და რკინისგზის ჩეკას რაზმი. წამოვიდა ჭიათურისაკენ სამი მიმართულებით: რკინიგზით, დიდი წიფლის მიმართულებით და ულევის მიმართულებით, აგრეთვე მოვიდა პაეროპლანნი და გახსნა ცენტრი ტყვიამფრქვევიდან. სასწრაფოდ შეიკრიბა ხელმძღვანელობა და სამხედრო პირები. რადგან ვაზნები სულ დაგველია,

უნდა დავტოვოთ ჭიათურა და მაღლა კლდის თავები უნდა დავიკავოთ. დატყვევებული მეთაურები უნდა დაიკავი-ვანოთ, ხოლო დანარჩენი პატიმრები უნდა შევიტოვე-სუფლოთ. 28 ილის მატარებელს მოყვა შეტოვთელი ალექსანდრე ვაფრინაშვილი. ის იყო ესერი და შენგე-ლისთან ერთად შეუერთდა ბოლშევიკებს. ის დიდი მეგობარი იყო ალექსანდრე ვაშაძის და სხვა ბოლშევიკების. როცა დაუნახავს მთელი ხალხის გამოსვლა, ისიც გარეულ-ლა მომქმედდა შორის და აი მან დაიწყო ხალხში ეხლა ავიტაცია: „არ წახვიდეთ არსად! თქვენ იცით მე ვარ ალექსანდრე ვაშაძის და სხვების მეგობარი. მე ვარ თავ-ღები არავის არაფერი დავიშვავებდებამო. ანან გამოიწ-ვია შევამთვინა და დროს დაკარგვა. ამ ხნის განმავლო-ბაში, ბოლშევიკებმა მოასწრეს სოფ. დიდ რვანის გა-სასვლელის დაცემა და დარჩა მხოლოდ ჯარბელოდან პერევისის გზა. ამით აიხსნება, რომ ჭიათურაში დარჩა ბევრი მომქმედი. ჩვენ უკანასკნელ დავიხიეთ პერევი-სისაკენ. გვიწოდდა საჩხერისაკენ დახვევა და იქ ვამარგე-ბა, მაგრამ იქ ვაგზავნილმა კაცმა ამბავი მოგვითხა: საჩ-ხერის აჯანყებულებსაც ვაზნების უქონლობის გამო ქალა-ქი დაეცალათ.

საჩხერე-ჭიათურაში მოვიდა კურსანტებით ტალახაძე: ბრლიანი და უბრალო, ვინც შეხვდა ყველა დაიჭირა და მათ შორის ის ალექსანდრე ვაფრინაშვილიც და ორი-ოთხი ბოლშევიცი. სულ ჭიათურაში დაატყვევეს 112 კაცი: ჩასხეს ვაფრინებში, შორაბანში გადააჯინეს საქონ-ლის ვაგონებში, ჩაიყვანეს ზესტაფონში, გადაიყვანეს მიყრუებულ ჩიხში, დაუშინეს ტყვიები და ამოხოცეს.

† კონრაგი კონს ძე წერეთელი.

## კონგრესმან ვაგონერი საქართველოში

ყოველთვისმა საერთაშორისო პოლიტიკოლომა ორგანომ „ნეტ ოროვ“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, მაისის, 1975წლის ნომერში გამოაქვეყნა. ა. შ. შ. კონგრესმან ეო დ. ვაგონერის წერილი: „საქართველოს საკითხი თავი-სუფალ კაცობრიობის წინაშე“. წერილი წარმოადგენს იმ სიტყვის შინაარსს, რომელიც ლუიზიანას შტატის წარმო-მდგენელმა, ეო დ. ვაგონერმა წარმოსთქვა ამერ. კონგრეს ში საქართველოს დაპყრობის შესახებ, 13 მარტს 1975 წ. და კონგრესს გააცნო იმ წერილის შინაარსი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-მა, ამბროსიმ ვაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფე-რენციას 1922 წელს.

### კონგრესმან ეო დ. ვაგონერის სიტყვა.

— ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო კოლეგებო, კარგა ხანია, რაც ამ კრებულის წევრებთან ერთად მეც მანტრერებს ერების თვითგამორკვევის ხელშეუვალი



უფლებები. ეს დიდი პრინციპი ჩვენ, ჩვენი წინაპრებისაგან დაღმკვიდრეთ და დღემდე იგი გახლავთ ა. შ. შ.-ის პოლიტიკის უმოთაგრესი საფუძველი.

მოუხედავთ ზოგჯერ წამოჭრილი პოლიტიკური სიძნელეებისა. ამ პრინციპს ჩვენი მოაზრობები მუდამ აღიარებენ და მხარს უჭერენ. ამ შეხედულებას ნათლად აშუქებს შ. შ.-ის კონგრესის ურყევი გადაწყვეტილება, არ გააუქმოს ლიტვიის, ლატვიის და ესტონიის იურიდიული ცნობა, სანამ ისინი საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობას არ დაიბრუნებენ...

მე აგრეთვე საჭიროდ მიმაჩნია, ჩვენ დღეს აღენიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი და მეტად ჩამაფიქრებელი დოკუმენტის 33 წლისთავი; რომელიც მიღებული იქნა საქართველოდან. როგორც იცით, ბალტიის ქვეყნებთან ერთად, თავისი სურვილის წინააღმდეგ, საქართველოც საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკამ თავისი ბატონობის ქვეშ მოაქცია.

ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მე ახლახან მოვიხსენიე 1922 წლის 7 თებერვალს, გენუაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა, სრულიად საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარმა ამბროსმა. ამ საერთაშორისო კონფერენციას, ცვილიწებული სახელმწიფოების გარდა, საბჭოთა რუსეთიც ესწრებოდა. რასაკერაველია. ამ პათეთიკური წერილის ავტორი, სრულიად საქართველოს პატრიარქი ამბროსი, საბჭოთა რუსეთის ცნობილმა "ჩეკამ, ციხეში ჩაგდო. სადაც ის კარგა ხანს, თითქმის სიკვდილამდე ღულობდა... პატრიარქი ამბროსის მოწოდება მატად აქტუალურია; როგორც 1922 წელში, ისე ამჟამადაც არა მარტო საქართველოს ერისთვის, არამედ ყოველი ერისთვის, რომლის სანუკუარი ოცნებაა თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა.

ახლა ბატონო თავმჯდომარე, და პატივცემული კოლეგებო, ჩემი სიტყვის მაგალითით გაშუქებისათვის, მოგაწოდებთ სრულიად საქართველოს პატრიარქის ამბროსის ამ მიმართვის სრულ შინაარსს... (ამ წერილის შინაარსი, ქართველი მკითხველებისათვის ცნობილია. ამიტომ თავს ვიკავებთ მის დაბეჭდვისაგან).

**ს ა მ რ თ ი**

**ნონა გაფრინდაშვილი თუ ნანა ალექსანდრია?**

20 ოქტომბერს, 1975 წელს, კურორტ ბუკინთაში დაიწყო ქალთა შორის ჭადრაკში, მსოფლიო პირველობის მატჩი. მოწინააღმდეგეებია ორი ქართველი ქალი: ნონა გაფრინდაშვილი იცავს თავის მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, ხოლო ნანა ალექსანდრია, ეცილებს მის წართმევაში.

დაე. უძლიერესმა გაიმარჯვას! — დედოფლის გვირგვინი კი საქართველოს არ აცდება.

ეს დიდი და შესანიშნავი მოვლენა არის ჩვენ ცხოვრებაში. ჭადრაკი მეტად პოპულარული, გონების სასაზღვრო თამაშია. მეტ-ნაკლები გატაცებით, მაგნიტის, მსოფლიოს ყველა ხალხი მისდევს მას, და ყველგან დიდ პატივისცემაშია. ამრიგად, თვე ნახევრის განმავლობაში, მსოფლიო ჭადრაკის მოყვარულთა მხერა მიმართული იქნება საქართველოსაკენ.

თამაშის განრიგის თანახმად, თამაშის პირველი ნაწილი ჩატარდება ბუკინთის საკურორტო დარბაზში — 21 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე; მეორე ნაწილი — თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, — 14 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. მატჩის მთავარი მსაჯია ჩეხოსლოვაკელი, საერთაშორისო არბიტრი, მიროსლავ ფილიპ.

**ნონა გაფრინდაშვილი** 34 წლისაა. 5 წლის ასაკში დაიწყო თამაში. 1956 წლიდან დაიწყო მანაწილობა დიდ ტურნირებში. 1962 წელს, (9:2) მოუგო მსოფლიო ჩემპიონს. ელისაბედ ბიკოვას, და მის შემდეგ ინარჩუნებს, ქალთა შორის, მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტია საერთაშორისო დიდოსტატი აივარ გაპსლისი.

**ნანა ალექსანდრია** არის 26 წლის. პატარა ნანას თამაში ასწავლა მამამისმა, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ვიოჩო ალექსანდრიაშვილმა. შემდეგ კი, ნიჭიერი ვიოჩო, მიიყვანა საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწრთენელ ვახტანგ ქარაელაძესთან.

1966 წელს, 17 წლის ნანამ, პირველობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის მსსსხმბით, კიევიში. 1967 წლიდან მონაწილეობს მსოფლიო პირველობის შეჯარჩე შეჯიბრებებში. წელს ფინალურ მატჩში სძლია რუს ჩემპიონს ლეიტიანს და მოიპოვა უფლება მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის. ნანა ალექსანდრია მწრთენელია საერთაშორისო დიდოსტატი მუხუტი გურგენიძე, რომელიც ამავე დროს არის პრეტენდენტის სეკუნდანტი.

**ქართველი ჩოგბურთელები.**

წელს, აგვისტოში, ავსტრიის დედაქალაქის, ვენის კორტებზე, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჩოგბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი, ალექსანდრე მეტრეველი და უნგრელი მაღალ ტრაიცი.

მწვევე პრბოლაში, რომელიც ოთხ ნახევარ საათს გრძელდებოდა, ქართველმა ჩემპიონმა დაამარცხა უნგრელი და მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. რა თქმა უნდა, ალ. მეტრეველი გამოდიოდა, როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მის ქართველობას არც საბჭოთა რუსეთის და არც სასლავარგავთის პრესა არ იხსენიებს, სამაგიეროდ, თვითონ მეტრეველი ხშირად აცხადებს რომ ის ქართველია.

სხვადასხვა მსოფლიო ამორტული ვაჭეთების გადმოცემით, ალ. მეტრეველი არის მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო მოთამაშე. მისი თამაში ჭკუიანური, ლამაზი და



რაც მთავარია, ავრცისულის, რაც მატად სისამოვნოა მა-  
ყურებელთათვის.

თავის ქართული ზღრილობით და თავდაბლობით,  
იგი დიდად გამოირჩევა, და როცა ის ფინალურ, ან ნა-  
ხევარ ფინალურ შეხვედრებში გამოდის დიდი ქებით და  
ენთუზიაზმით იხსენიებს უცხოეთის პრესა.

როგორც შარშან ისე წელს, ალ. მეტრეველმა და თეი-  
მურაზ კაკულიამ, საბჭოთა კავშირის პირველობაზე, პირ-  
ველი და მეორე ადგილი მიიღეს.

ალექსანდრე მეტრეველი უკვე შეექვეყნებდა საბ-  
ჭოთა კავშირის ჩემპიონი, ამრიგად, ორი ქართველი ჩოგ-  
ბურთელი წარმოადგენს მთავარ ძალას საბჭოთა კავში-  
რის მასშტაბით.

შარშან ქართველმა ჩოგბურთელებმა წარმატებით  
იასპარეზეს მკაფილოში განთქმული „დევისის“ თასის  
მოსაპოებლად. და მხოლოდ ნახევარ ფინალში დამარცხ-  
დნ ინდოეთის ჩოგბურთელებთან. უნდა ითქვას, რომ  
ინდოელები უძლიერეს მოთამაშეებთან ითვლებიან ტე-  
ნისში.

ვაშა ქართველი ჩოგბურთელები!  
მომავალი წარმატებისათვის!

რ ე ზ ო.

### თავისუფლების ბრიგუნის ფონდი

ანგარიში დაიხურა 30 ოქტომბერს, 1975 წელს.

ღვთი თოხაძე (ვენეცუელა), სამი სახელოვანი ქართვე-  
ლის: ლევან ზურაბიშვილის, ვიქტორ ნოზაძის და ნიკო-  
ლოზ თოხაძის კეთილშობილსახელებლად: 600,00 ფრ.

პეტრე ხვდელიძე (ა. შ. შ.), ძმის მაგიერის, პოლკოვნიკ  
ელად. შარაბიძის კეთილშობილსახელებლად (100 ლ.) 429 ფ.

ნაყო ყურულაშვილი — 50 ფ. სიმონ კეკელიძე — 200 ფ.

ალექსანდრე გამყრელიძე, — პოეტ გიორგი გამყრელიძის  
კეთილშობილსახელებლად — 100 ფრანკი; — მარიამ ლოლობე-  
რიძე — 30 ფრ. — კოსტა გუნია — 20ფ; — ზ სვერიან

ჭირაქაძე — 100 ფრ. — დიმიტრი ქიმირაძე — 100 ფრ.

ილო ეშუვაზია — 50; — მიხეილ ჯინჭარაძე — 10; —

გერასიმე ბოლქვაძე — 50; სალომე ზურაბიშვილი — 100;

კაკო აღმაზია — 50; — ნიკოლოზ გელაშვილი — 50;

— გიორგი ჯაყელი (ა. შ. შ.) — 108,70 ფრ. — შარლი

ცინცაძე (ა. შ. შ.) — 86,96 ფრ. — გ. ბორითელი — 100;

აკაკი ბარკალია — 100 ფ. — მიშა გაფრინდაშვილი

— 50 ფრ. — მარათა სტურუასი — 30 ფრ. — შოთა გვა-

სალია — (50 კან. დოლ.) — 216,90 ფრ. — ანონიმური

(პარიზი) — 120 ფრ. — რაფიელ ჯაში — 200 ფრანკი;

გივი გაბლიანი (20 ამ. დოლარი) — 78,97 ფრ. ვახტანგ

საყვარელიძე — (ა. შ. შ. 10 დოლ.) — 42,90; — იონა

გუნია — 10 ფრ. — სანდრო ფაჩულიძე — 100 ფრანკი.

შემოწირულებათა ჯამი: — 3.182,45/ ფრ.  
01. ტ. №8-სათვის გაწეული ხარჯები:

არაპეონის სტამბის ფაქტურა	884,00
ასოთამწყობს	600,00
ლევლის სტამბის ხარჯებისათვის	120,00
კონვერტები და სხვა	114,28
საფოსტო ჩიშვები	408,15
საფოსტო ტაქსი	4,00
სარეჟარი სტამბის მუშებს	40,00
01. ტ. № 8 ანგარიშის დანაკლისი	155,35
(იხ. წინა ნომერი 8).	
გაწეული ხარჯები სულ: —	2,325,78 ფრ.

მაშხადაძე, 30—10—75-ს, საღარიპო იყო: 847,67 ფრ.

ამრიგად, აუცილებელ ხარჯებს თითო ნომრისათვის,  
საშუალოდ თუ 2.200 ფრანკს ვინაგარიშებთ, ამ მე-9  
ნომრის ხარჯების დასაფარავად, კვლავ გვაკლია, სულ  
კოტა 1300,00 ფრანკი.

უარესად მაღლიერნი ვართ მათი, ვინც იკლებს და გულ-  
უხვად ეხმარება „თავისუფლების ტრიბუნას“; მათ, ვინც  
ჯერჯერობით თვინათი ქართული სოლიდარობა არ გა-  
მოუჩენიათ, კიდევ ერთხელ მოვავაგონებთ: ქართველ დევ-  
ნილთა მორალური და ფინანსური დახმარების გარეშე  
ეს საქმე ვერ იარსებებს.

01. ტ.

### მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

— მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ქ. არაპეონის პოსპი-  
ტალში, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა მათე ბოლქვაძე.  
დასაფლავებულია ლევლის ძმთა სასაფლაოზე 2 აგ-  
ვისტოს 1975 წელს.

— 56 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარ-  
დაიცვალა ლევან დონდუა, დასაფლავებულია ლევლის  
ძმთა სასაფლაოზე 8 აგვისტოს 1975 წელს

ა/წ. 20 აგვისტოს, ნორვეგიაში, ქ. ოსლოში, გულის  
ავადმყოფობით გარდაიცვალა ირაკლი გორდელაძე.

ა/წ. 14 აგვისტოს, ქ. სან-ფრანცისკოში (ა. შ. შ.), უეც-  
რად გარდაიცვალა ვანო ნანუაშვილი.

ა/წ. 24 სექტემბერს, პარიზში, ვიყარარის პოსპიტალ-  
ში გარდაიცვალა სვერიან ჭირაქაძე. დასაფლავებულია  
ლევლის ძმთა სასაფლაოზე.

ა/წ. 17 ოქტომბერს, ქ. რომში, გულის ავადმყოფობით  
გარდაიცვალა ლადო არველაძე.

„თავისუფლების ტრიბუნა“ გლოვობს მათ დაკარგვას  
და სამძიმარს უცხადებს უნუგეშო კირისუფალთ.

მასალები და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: